



MES 6 21 0000708869



14/07/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 30.06.2021

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 23:20სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი

სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა (I-II-III-IV-V)

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (VI-VII-VIII)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- 3. მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**

4. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი; **სხდომის მდივანი**;
5. **გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
7. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ელენე ჟურვალიოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
13. **გაიგანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
14. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
16. **ნინო ჭალაღანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი

1	ანა ჯავახიშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნანაშათაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფიზიკის საბაკალავრო, ფიზიკის სადოქტორო, ფუნდამენტური ფიზიკის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V
2.	ალექსანდრე შენგელაია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფიზიკის საბაკალავრო, ფიზიკის სადოქტორო, გამოყენებითი ფიზიკის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V
3.	თამაზ მძინარაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფიზიკის საბაკალავრო, ფიზიკის სადოქტორო, ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V
4.	მერაბ ელიაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	ფიზიკის სადოქტორო, ფუნდამენტური ფიზიკის სამაგისტრო	I-II-III-IV-V

		სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამების ხელმძღვანელი	
5	რევაზ შანიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გამოყენებითი ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V
6	რამაზ ხომერიკვი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I-II-III-IV-V
7	თამარ ჭელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზსმფ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I-II-III-IV-V
8	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I-II-III-IV-V
9	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI-VII-VIII
10	ნუგზარ წერეთელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	VI-VII-VIII
11	მამუკა მაისურაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI-VII-VIII
12	მაია მშვილდაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	VI-VII-VIII
13	ზურაბ სიმონგულაშვილი	სსიპ - საქართველოს	დოქტორანტურის საგანმანათლებლო	VI-VII-VIII

		ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის „მეტალურგია“ ხელმძღვანელი.	
14	ოთარ გელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი	VI-VII-VIII
15	ნათია ბუთხუზი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI-VII-VIII
16	ავთანდილ შარვაშიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსი	VI-VII-VIII
17	ნინო თოფურია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ ხელმძღვანელი	VI-VII-VIII
18	გიორგი აბრამიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ ხელმძღვანელი	VI-VII-VIII
19	დავით ფრიდონაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	VI-VII-VIII
20	ვარლამ ლეკიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	VI-VII-VIII
21	თამაზ ნატრიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	VI-VII-VIII
22	მერაბ გოცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	VI-VII-VIII
23	ზაზა მესხიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	VI-VII-VIII

24	მურთაზ პაპასკირი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	VI-VII-VIII
----	---------------------	--	--------------------------	-------------

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ავლთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III- IV-V
2	მაკა აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III-IV-V
3	მარიკა ტატიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
4	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
5	ქეთევან კოტეტიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
6	ზაზა მელიქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III- IV-V
7	თამარ ლობჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	ომარ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
10	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	პარმენ ყიფიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	ლექსო ტორიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
13	ჯუმბერ ჩოგოვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII-VIII
14	ზაზა ჟორჟოლიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII-VIII
15	მზევარ გოგილავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VII-VIII
16	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII-VIII
17	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII-VIII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა

აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	28.10.2011 N208
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ფიზიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	0533 - ფიზიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ავთანდილ თავხელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ 2021 წლის 31 მაისიდან და 2 ივნისამდე განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2 ივნისს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრება კი გაიმართა დისტანციურად, ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; პროგრამის ხელმძღვანელს; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. გადასახედია და შესაბამისობაშია მოსაყვანი სასწავლო კურსებთან ლიტერატურა. ლიტერატურა ძველია და თანა ცრუსული;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და მიზნების შედეგების რუკა გაიწეროს კვალიფიციურად;
3. გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში შესაბამის საფეხურთან.

რჩევები:

- 1.დამსაქმებლებთან კავშირების გაძლიერება და მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- 2.სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან მეტად მოხდეს სტუდენტთა ხელშეწყობა/მოტივირება, ასევე ინფორმაციის მიწოდების დამატებითი საშუალებების გამოყენება რათა მოხდეს სტუდენტთა უფრო აქტიურად ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში;
- 3.სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;
- 4.სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში გაახლდეს გამზომი ხელსაწყოები;
- 5.სასურველია, სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა ელექტრონული, საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ;
- 6.გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
- 7.სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც;
- 8.სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
- 9.სასურველია, უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა;
- 10.სასურველია, თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არა მარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით;
- 11.სასურველია, თვითშეფასების აღწერით ნაწილში მითითებული რიცხობრივი მაჩვენებლები იყოს შესაბამისობაში ერთმანეთთან;
- 12.სასურველია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პერიოდულად მოხდეს სილაბუსების გადამოწმება და მასში არსებული მოძველებული ლიტერატურის ცვლილებაზე რეკომენდაციის გაცემა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის მისამართით;
- 13.სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით „გადასახედია და შესაბამისობაშია მოსაყვანი სასწავლო კურსებთან ლიტერატურა. ლიტერატურა ძველია და თანაც რუსული;“ აღნიშნა, რომ ეს პრობლემა საერთო იყო ინსტიტუციისთვის, თუმცა პროგრამაზე უფრო მწვავედ იდგა. დარგის სფეციფიკიდან გამომდინარე არსებობდა კლასიკური ლიტერატურა, რომლებიც მაღალ დონეზე იყო შესრულებული და აკადემიური პერსონალის მხრიდან იყო მცდელობა, რომ სტუდენტებს ასწავლონ გასული საუკუნის 50-იანი წლების ლიტერატურით, რომლითაც თავად სწავლობდნენ. თუმცა, სტანდარტი მოითხოვს ახალი ლიტერატურის გამოყენებას, რადგან დროთა განმავლობაში იცვლება ლიტერატურის შინაარსი და პედაგოგიური მეთოდები. ასევე

მეორე პრობლემას წარმოადგენდა რუსულენოვანი ლიტერატურა, რადგან ახალმა თაობამ აღარ იცის რუსული ენა და შესაბამისად უჭირთ რუსული ლიტერატურის გაცნობა. აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა სტუდენტებთან გასუბრებისას.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „რეკომენდირებულია პროგრამის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და მიზნებისა შედეგების რუკა გაიწეროს კვალიფიციურად.“ ექსპერტმა განმარტა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა, თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებმა აუცილებლად უნდა გამოასწორონ აღნიშნული საკითხი. პრობლემა მარტივად მოგვარებადია.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში შესაბამის საფეხურთან.“ ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ განმარტა, რომ ეს შეეხებოდა კურს „კოსმოლოგია და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა“ რომელიც როგორც წესი არ ისწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე, ამავდროულად მსგავსი კურსი არის სამაგისტრო საფეხურზე. პროგრამას საბაკალავრო საფეხურზე აქვს ოთხი განყოფილება კლასიკური ფიზიკის, ესენია: მექანიკა, თერმოდინამიკა, ელექტრობა და ოპტიკა. ხოლო „კოსმოლოგია და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა“ შეიძლება ისწავლებოდეს მაგისტრატურის ან სადოქტორო საფეხურზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამა არის კარგი, თუმცა გარდა რეკომენდაციაში განსაზღვრული საკითხებისა, კიდევ არის პრობლემური საკითხი მოძველებულ ლაბორატორიებსა და აპარატურასთან დაკავშირებით. დაწესებულებაში არის ლაბორატორია, რომელიც სანდიეგოს უნივერსიტეტმა გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მაგრამ ემსახურება მხოლოდ საინჟინრო პროგრამებს და არ ემსახურება ფიზიკის პროგრამებს, თუმცა შესაძლებელია ორი პროგრამის სტუდენტებს ქონდეთ შესაძლებლობა ლაბორატორიით სარგებლობის. ექსპერტმა ასევე ახსენა მაგალითი, როდესაც სტუდენტი არ მივიდა აღნიშნულ უნივერსიტეტში, სწორედ მოძველებული ლაბორატორიის გამო. აღნიშნულ პროგრამაზე არის ბევრი საგრანტო პროექტი, რომელსაც უნივერსიტეტისთვის მოაქვს დიდი რაოდენობით თანხა აპარატურისათვის, აკადემიური პერსონალის ხელფასებისათვის, სტუდენტების ხელფასებისათვის და ა.შ. თუმცა, პროგრამის ბიუჯეტში არ არის გაწერილი პროგრამის გრანტებიდან მიღებული შემოსავალი, რაც არასწორია, რადგან რომ არა გრანტებით მიღებული თანხა აპარატურის შეძენა მოუწევდა უნივერსიტეტს, რათა იგივე სწავლის შედეგებზე გასულიყო. ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არის ფიზიკის დიდი აუდიტორია, სადაც არ უშვებენ ფიზიკის პროგრამის სტუდენტებს, რადგან პროგრამაზე სწავლობს ცოტა სტუდენტი, ხოლო აუდიტორია არის დიდი. აუდიტორია ფიზიკის სტუდენტებისათვის იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ არის გრძელი კათედრა და სივრცე, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დემონსტრაციის მეთოდის გამოყენებისათვის. დემონსტრაციის მეთოდი ეს არის, როდესაც ლექტორი ხსნის ლექციას და თან აჩვენებს სტუდენტს ამა თუ იმ საკითხს პრაქტიკულად. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მათ ქონდათ ამასთან დაკავშირებით საუბარი დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომლებმაც გაიზიარეს რჩევა და დაუდასტურეს, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ექნებოდა მომავალში. ასევე, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა ბიუჯეტი სადაც შეტანილი იყო საგრანტო პროექტები და მოზიდული თანხები. პროგრამას დეფციტში ეწერა 70 000 ლარი, ხოლო გრანტების სახით მოზიდული ქონდა 7 000 000 ლარი, რაც ექსპერტების მოსაზრებით დაუშვებელია, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები ნელნელა აუმჯობესებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამები, წარმოადგენდა უნივერსიტეტის წამყვან პროგრამებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რანჟირებებში ერთადერთი ინსტიტუციაა. ფიზიკის მიმართულება შანხაის რანჟირებაში არის 151-200 ადგილზე, „ველდნიუსში“ 195 ადგილზე და ასევე „თაიმში“ 1001+ ადგილზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ინსტიტუციის სახელით მაღლობა გადაუხადა მიმართულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მათი დამოკიდებულება განსაკუთრებულია, პროგრამების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების თუ კურსდამთავრებულების მიმართ. მან ასევე ლაბორატორიების განახლებასთან დაკავშირებით, განმარტა რომ უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი რემონტდება, რაც საკმაოდ რთული პროცესია უნივერსიტეტისათვის, რადგან ბევრი ლაბორატორია და აუდიტორია მომზადების ეტაპზეა. ასევე ფიზიკის დიდ აუდიტორიასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ აუდიტორია გამიზნულია მხოლოდ დიდი ჯგუფებისათვის. ახალი სასწავლო წლიდან, როდესაც შესაძლებელი იქნება აღდგენილი აუდიტორიებით სარგებლობა აუდიტორიები საჭიროების მიხედვით იქნება განაწილებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შათაშვილმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოძველებული გამოცემები რუსულ ენაზე იყო ზოგიერთ სილაბუსში და ისიც დამატებით ლიტერატურაში. მხოლოდ ერთ სილაბუსში ტექნიკურად იყო დარჩენილი რამდენიმე ძირითადი ლიტერატურიდან 1 რუსული სახელმძღვანელო. არ არსებობდა არანაირი გზამკვლევი დამატებით ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება კრძალავდეს რუსულ ლიტერატურას მითუმეტეს კლასიკას. ასევე მან აღნიშნა, რომ შედარებით ძველი გამოცემების არსებობა განპირობებული იყო იმით, რომ ხშირად წიგნის ახალი გამოცემები ძველის გამეორება იყო, რადგან კლასიკური, ფუნდამენტური, თეორიები, მოდელები, აღმოჩენები რაც იყო გაკეთებული მე-20 თუ მე-19 საუკუნეში არ შეცვლილა. ხოლო მათ გარეშე ვერ მოხდებოდა მაღალ დონეზე შესწავლა, შესაბამისად ბაკალავრიატის დონეზე აღნიშნული მასალის გადაცემა ხდებოდა იმ მოდელებით და თეორიით, როგორც შემოთავაზებული იყო ფიზიკაში. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოებრივი პრობლემებია ის, რომ ქართულ ენაზე დარგში ძალიან მცირე რაოდენობითაა წიგნები და ისიც საბჭოთა კავშირის დროინდელია. აღნიშნული საკითხი სახელმწიფოს კომპეტენციაა. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობდა აღნიშნული პრობლემის გადაჭრას, სადაც ლექტორების როლი განმსაზღვრელია, ისინი მუდმივად ანახლებენ სალექციო რიდერებს, საგანებზე შერჩეულია ამ მიმართულების გამოცდილების მქონე პროფესორი, რომლებიც იცნობენ თანამედროვე ლიტერატურას და დარგის ტენდენციებს. პროფესორის როლი დიდია სწავლებისას და მხოლოდ წიგნებით, რაც არ უნდა ახალი იყოს გამოცემა არ არის შესაძლებელი სრულფასოვანი განათლების მიღება. ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ თანამედროვე და გაუმჯობესებული მეთოდები, უზრუნველყოფილი იყო ლიდერი პროფესორების შერჩევით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მკაცრი პოლიტიკა აქვს პროფესორების შერჩევასთან დაკავშირებით. ასევე არის კათედრები ყველა ქვედარგის მიხედვით, რაც გამოარჩევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ზოგიერთი ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტისაგან და ასევე აძლევს შესაძლებლობას გაძლიერებულად ისწავლებოდეს ფიზიკა. ასევე დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან ექპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რომ მხოლოდ ზოგადი ფიზიკა უნდა ისწავლებოდეს ბაკალავრიატის საფეხურზე, რადგან პროგრამას ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ფიზიკის მიმართულებით სხვადასხვა კურსი შესთავაზოს სტუდენტს. ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა საკმაოდ გაძლიერებულია და მსოფლიოს დონეზე ცოტაა პროგრამები სადაც გაწერილი იყო მოწინავე დონის საგნების შეთავაზება, რომლებიც წარმოადგენდა კარგ შესაძლებლობას შემდგომში მაგისტრატურაზე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ქართულ ასევე უცხოურ უნივერსიტეტებში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შათაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ჰქონდა

შესაძლებლობა წარმოადგინოს ყოველწლიური მონაცემები, სადაც კარგად ჩანს რომ სტუდენტები აბარებენ უცხოურ მოწინავე უნივერსიტეტებში. დაწესებულების წარმომადგენლები ასევე არ ეთანხმებიან რეკომენდაციას „რეკომენდირებულია პროგრამის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და მიზნებისა და შედეგების რუკა გაიწეროს კვალიფიციურად“, რადგან იყო მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ორ შედეგს. რომელიც მიუთითითეს დაწესებულების წარმომადგენელმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე საპასუხოდ არგუმენტირებულ პოზიციაში. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, რომ „მოამზადოს მეცნიერების ბაკალავრები ფიზიკაში, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე ფიზიკის საფუძვლების ცოდნა, ფიზიკის ძირითადი დარგების საფუძვლები სიღრმისეული ცოდნა შემდგომ საფეხურზე სწავლის (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) გასაგრძელებლად და შემდგომი პროფესიული და კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად;“ ცხადია ბაკალავრ ფიზიკოს არ შეუძლია იგივე პოზიციაზე მუშაობა, რომელზეც დოქტორ ფიზიკოსს, სწორედ ამიტომ არის საჭირო შემდეგ საფეხურებზე მიიღოს სტუდენტმა განათლება. დღევანდელი კანონმდებლობით ბაკალავრ ფიზიკოსებს სპეციალობით მუშაობა არ შეუძლიათ ბევრ ადგილზე, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების აზრით სადაც შეუძლიათ სტუდენტებს აქვთ მეტი ცოდნა. ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული რეკომენდაცია გადავიდეს რჩევის სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შათაშვილმა ასევე ისაუბრა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში შესაბამის საფეხურთან.“ და აღნიშნა, რომ საუბარი იყო ერთ-ერთ არჩევით კურსზე „კოსმოლოგია და ელემენტარული ნაწილაკები, რომელიც 2008 წელს ახალი რეფორმის მიხედვით განხორციელებული საბაკალავრო პროგრამის მოდერნიზაციის დროს არ იყო გათვალისწინებული, თუმცა სტუდენტების მოთხოვნით აღნიშნული კურსი დაემატა როგორც არჩევითი კურსი. საბაკალავრო სწავლებისას მხოლოდ გაცნობითი, მიმოხილვითი და შესავლის დონეზე იყო შეთავაზებული მასალა, სამაგისტრო დონეზე კი სიღრმისეულად და გაძლიერებულად და გაფართოებულად როგორც მათემატიკური აპარატის თვალსაზრისით, ასევე კონცეპტუალურად და შინაარსობრივად. სამაგისტრო პროგრამაზე საგანს ქვია „გრავიტაცია და კოსმოლოგია 1“, რომელიც ისწავლება 2 სემესტრში, პირველ სემესტრში ისწავლება ძირითადად გრავიტაცია. შესაძლებელია შესავალ ნაწილში სათაურები მეორედებოდეს, რადგან შესაძლებელია მაგისტრს არ ჰქონდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა, ან ჰქონდეს თუმცა კურსის არჩევითობიდან გამომდინარე არ ჰქონოდა გავლილი, ამიტომ ლექტორი უფლებამოსილია გააკეთოს შესავალი რამოდენიმე ლექციაზე. მაგისტრატურის საფეხურზე აღნიშნული კურსი საკმაოდ რთულია, შემოდის აინშტაინის თეორია ფორმულებით და კონცეპტუალურად, ასევე მათემატიკური აპარატი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რამაზ ხომერიკმა მოძველებულ ლაბორატორიებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში მიმდინარეობდა სრული რეაბილიტაცია. გარდა გარე ფასადისა, ასევე შიდა საუნივერსიტეტო სივრცის განახლებაც მიმდინარეობდა. ახალი სასწავლო წლიდან, ინსტიტუცია საქმიანობას განაგრძობს რეაბილიტირებულ კორპუსში. აღნიშნულ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით თანხა გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 27 000 000 ლარის ოდენობით. ასევე ეს იყო ფაქტორი, იმისა რომ ხელოვნურად ჭიანჭურდებოდა ახალი აპარატურის შესყიდვა და უპირატესობა ენიჭებოდა სხვა ექსპერიმენტულ დარგებს, რომლებიც სხვა კორპუსებში ხორციელდებოდა. რადგან აპარატურას სჭირდება ინსტალაცია და სხვა პროცედურები, რომლებსაც ხელს შეუშლიდა სარემონტო სამუშაოები. ასევე უნივერსიტეტის სხვენში კეთდება ობსერვატორია და ხდება ტელესკოპის შექმნა. ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დამატებით აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის

პოზიციას მოძველებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, რადგან წარმოდგენილი ლიტერატურის შინაარსი არ იცვლებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო „გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში შესაბამის საფეხურთან.“ მან აღნიშნა, რომ ფორმულირებით ისე ჟღერდა თითქოს რეკომენდაციას მასიური ხასიათი ჰქონდა, თუმცა დასკვნის აღწერით ნაწილში მხოლოდ ერთ კონკრეტულ სასწავლო კურსს შეეხებოდა. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნებოდა ექსპერტების პოზიცია, რამდენად შეეხებოდა მხოლოდ ერთ სასწავლო კურსს. ასევე, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ აღწერილობით ნაწილში 1.2 ქვეპუნქტში, დასაწყისშივე იყო მითითება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდა პროგრამის მიზნებს და მოიცავდა შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. თუმცა, პროგრამის სწავლის პირველი შედეგი ცოდნა და გაცნობიერების 1.2 ქვეპუნქტი, შეუსაბამობას იწვევდა და ვერ უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას. საიდან გამომდინარეობდა ექსპერტთა ჯგუფის ეს დასკვნა, რომ კონკრეტულად ეს ნაწილი ვერ უზრუნველყოფდა პროფესიით დასაქმებას. ასევე, ამავე რეკომენდაციის ფორმულირების მეორე ნაწილში გაუგებარი იყო თუ რა იგულისხმებოდა კვალიფიციურად გაწერაში, ხოლო პირველ რჩევასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ასევე გაუგებარი იყო დამსაქმებლები როგორ უნდა ჩაერთონ აქტიურად სასწავლო პროცესში და მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ, თუ რა იგულისხმებოდა აღნიშნულ რჩევაში.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მას შემდეგ რაც ფიზიკის პროგრამა დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ, მოიმატა თუ არა სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკამ და რა ვთარება იყო ამ კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო ინსტიტუციის ერთიანი ბიუჯეტი, ფაკულტეტის ბიუჯეტი და პროგრამული ბიუჯეტი. თუმცა წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი შეეხებოდა ინფორმაციული სისტემების მაგისტრატურის პროგრამის ბიუჯეტს. გამომდინარე იქიდან რომ სტანდარტი მოითხოვს, რომ ინსტიტუციის მხრიდან წარმოდგენილი იყოს პროგრამის ბიუჯეტი, ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა როგორი იყო დაწესებულების პოზიცია. ასევე როგორია დასაქმების მაჩვენებელი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მიმართა ინსტიტუციას, თუ რა მიზეზით იყო შემცირებული სტუდენტების მომართვიანობა ფიზიკის მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის დროს ჰქონდა გასაუბრება დამსაქმებლებთან, ხოლო დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა სკოდნოდან პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა. დამსაქმებლებთან შეხვედრები იმისათვის არის აუცილებელი, რომ კურსდამთავრებულებმა უნდა იმუშაონ სწორედ მათთან, ხოლო დამსაქმებლებისგან მოდის გარკვეული ნიუანსები იმისათვის, რომ დაასაქმოს სტუდენტი, ის უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს და ცოდნას. აქედან გამომდინარე აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფმა გაწერა რჩევის სახით, რადგან დამსაქმებელთა უკუკავშირი მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რათა დაწესებულებამ

იცოდეს როგორ სტუდენტს აგზავნის დამსაქმებელთან. დამსაქმებლის ჩართვა სასწავლო პროცესში აქტუალურია, რადგან არსებობს მაგალითები სხვა უნივერსიტეტებში, როდესაც დამსაქმებლები, კვლევითი ცენტრის დირექტორები, გამორჩეული მეცნიერები სტუდენტებს უკითხავენ სპეც კურსებს მიმართულების მიხედვით და ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს. თუმცა აღნიშნული პრაქტიკა არ დაადასტურეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამსაქმებლებმა. ექსპერტმა ასევე პროგრამის შედეგებსა და რუკასთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ პროგრამის მიზნებში პირდაპირ იყო გაწერილი, რომ საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მოამზადოს მეცნიერების ბაკალავრი ფიზიკაში, რომლებსაც ექნებათ საბაზისო ფუნდამენტური ცოდნა ფიზიკის დარგისთვის საჭირო მათემატიკის საფუძვლებში, ფიზიკის ამოცანის რიცხვით მოდელირებაში, თუმცა, შედეგებში ისე არის გაწერილი, რომ ყველა საკითხი უნდა იცოდეს ბაკალავრმა აღნიშნული ოთხი მოდულიდან, რათა გავიდეს სწავლის შედეგებზე. ექსპერტთა ჯგუფის მიზანი იყო, რომ დაკონკრეტებულიყო მიზნები, ექსპერიმენტული ნაწილისთვის, ოპტიკის ნაწილისთვის და ა.შ. პროგრამაზე მიზნები და შედეგები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ ქმნიდა წარმოდგენას ყველა მიზანი ყველა შედეგზე გადიოდა. ლიტერატურასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით შეადარა სილაბუსები ლიტერატურას, რადგან პროგრამა ხელახალ რეაკრედიტაციას გადიოდა გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ თანამედროვე სტუდენტების 2-3%-მა იცის რუსული, შესაბამისად იმ ლიტერატურის გაწერას, რომელსაც ვერ წაიკითხავდა სტუდენტი აზრი არ ჰქონდა, აღნიშნული ლიტერატურის ანალოგი არის სხვა უცხოურ ენებზეც. ასევე ძირითად ლიტერატურაშიც იყო რამოდენიმე რუსული ლიტერატურა, ასევე რამოდენიმე სილაბუსში იყო მითითებული ქართული ლიტერატურა და თითქმის ყველა შერჩეულ სილაბუსში იყო ლექციების კონსპექტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ არ მიესალმებოდა ლექციების კონსპექტის გაწერას ძირითად ლიტერატურაში. ასევე შესაძლებელი იყო რომ სასწავლო კურსები წიგნად იყოს გამოცემული, რადგან მოსალონედელია სტუდენტთა ვერ ნახოს ატვირთული ელექტონული ვერსია. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მდიდარია მრავალფეროვანი ლიტერატურით, თუმცა სესიაზე ეს არ გამოჩნდა.

საბჭოს წევრი ანზორ ბერიძე დაინტერესდა საბაკალავრო კურსების შინაარსის შესაბამისობაზე საფეხურთან, შეეხება თუ არა ეს მხოლოდ ერთ კურსს, რომელზეც საუბარი იყო ზეპირი მოსმენისას.

ექსპერტმა, ავთანდილ თავხელიძემ პოზიტიურად შეაფასა ბაკალავრის საფეხურზე სასწავლო კურსები, თუმცა განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსებში საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე სალექციო მასალა მეორდებოდა. საგნების კურსები, დასახელება, ლექციების და პრაქტიკულების 50-60% ერთიდაიგივე იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ჭელიძემ ბიუჯეტთან და კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა რომ ბიუჯეტის წარმოდგენასთან დაკავშირებით იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც ცენტრის წარმომადგენლებმა შეამჩნიეს და მალევე მოხდა სწორი ბიუჯეტით ჩანაცვლება. აღნიშნული საკითხი დაადასტურა ცენტრის წარმომადგენელმა. ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელზე, დაწესებულების წარმომადგენლება გაითვალისწინეს მხოლოდ ის კურსდამთავრებულები, რომლებსაც მხოლოდ აღნიშნული ბაკალავრის ხარისხი ჰქონდათ, ხოლო ასეთ შემთხვევაში დასაქმების მაჩვენებელი იყო 86%, თუ ამ მონაცემებში დაწესებულების წარმომადგენლები გაითვალისწინებდნენ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც სწავლა გააგრძელა მაგისტრატურის საფეხურზე დასაქმების მაჩვენებელი გამოვიდოდა 98%, აქედან 55% იყო დასაქმებული სპეციალობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე ასწავლიან მოწინავე მეცნიერები, ხოლო „Lecture Note“-ის დადება შეუძლია ყველა მეცნიერს, ასევე იმ წამყვან მეცნიერებს რომელიც ასწავლიან აღნიშნულ პროგრამაზე და ყოველდღე ეცნობიან ახალ მიღწევებს ფიზიკის დარგში, შესაბამისად ცვლის თავის ჩანაწერებს. ნანა შათაშვილმა დამსაქმებლების ჩართულობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას, რადგან ლექტორების 80% თვითონ არიან დამსაქმებლები. სწორედ ბაკალავრიატის დონეზე არიან წამყვანი ლექტორები დასაქმებულები, რომლებიც სწორად და თანამედროვე მეთოდებით ასწავლიან სტუდენტებს. მათ აქვთ გამოცდილება დასავლეთის ქვეყნებში პროფესორებად მოღვაწეობის და უნახავთ, როგორ ასწავლიან წამყვან უნივერსიტეტებში და გამოცდებსაც ისე ატარებენ. სესიაზე იმყოფებოდნენ ლიდერი ინსტიტუტების დირექტორები და საბჭოს თავმჯდომარეები, რომლებიც ასევე საბაკალავრო ნაშრომების თანახელმძღვანელები არიან. აღნიშნულ პროგრამაზე საბაკალავრო ნაშრომი არის სავალდებულო. დაწესებულების წარმომადგენლებისგან იყო მცდელობები, გაზრდილიყო ფიზიკისადმი ინტერესი, რათა ნიჭიერ სტუდენტებს ჩაებარებინათ აღნიშნულ პროგრამაზე, ამისათვის მათ ქონდათ სხვადასხვა ხერხები, მაგალითად ერთ-ერთი იყო წინსწრებით სწავლება ზოგადი ფიზიკის სწავლების, რომელიც ძალიან დაეხმარა დაინტერესებულ სტუდენტების მოსვლას. ასევე დაფინანსება ეხმარება სტუდენტებს. ასევე მისაღებ გამოცდაზე ფიზიკის ჩაბარებამ გააძლიერა ფიზიკის სწავლებას სკოლებში და ჩაბარებულთა რიცხვიც გაიზარდა. სანამ ფიზიკა შემოვიდოდა მისაღებ გამოცდებზე ჩამბარებელთა რიცხი იყო მცირე, ფიზიკის შემოსვლის შემდგომ ცოტა აბიტურიენტი აბარებდა ფიზიკას საიდანაც მხოლოდ 30% ახერხებდა ჩაბარებას, თუმცა ბოლო წლებში მომართვიანობამ საგრძნობლად მოიმატა. ამ ეტაპზე პროგრამაზე მიღება ხდება ფიზიკით და მათემატიკით 50/50-ზე. სანამ სკოლებში გაძლიერდებოდა ფიზიკის სწავლება სტუდენტების ძირითადი ნაწილი აბარებდა მათემატიკით, თუმცა ბოლო წლებში ფიზიკით ჩამბარებელთა პროცენტულობამ იმატა, რაც საკმაოდ კარგი მოტივაციაა. თუ ქვეყანა ააფსებს აღნიშნულ დარგს და ჩაბარების საშუალებასაც აძლევს სტუდენტს, სტუდენტის დამოკიდებულებაც იცვლება დადებითად.

დაწესებულების წარმომადგენელმა რამაზ ხომერიკმა სტატისტიკასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნა, რომ 2013 წლიდან ხდება მიზნობრივი დაფინანსება პროგრამების, რომლებიც იყო პრიორიტეტული, რამაც გაზარდა სტუდენტების რიცხვი. საშუალოდ 100 სტუდენტის მიღება ხდებოდა ყოველწლიურად ფიზიკაზე, ქიმიაზე და ბიოლოგიაზე. გამოსაშვები გამოცდების გაუქმების და მისაღებ გამოცდებზე აღნიშნული საგნების სავალდებულოდ არ ჩათვლის, შემდგომ საგრძნობლად შემცირდა სტუდენტთა მომართვიანობა. დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ ასევე აღნიშნა, რომ სტატისტიკის მონაცემები დაწესებულების წარმომადგენლება შეისწავლეს არამხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მამტაბით, არამედ სხვა უნივერსიტეტებში, სადაც ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია ისწავლება. ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთვევაში ეს იყო საუკეთესო შედეგი სხვა უნივერსიტეტებთან შედრებით.

ექსპერტთა თავმჯდომარე გამოეხმაურა დამსაქმებლებთა საკითხს და აღნიშნა, რომ 42-ე სკოლის დირექტორის მოადგილის წინადადება იყო, რომ უფრო მეტად ჩაერთოთ დამსაქმებლები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, პროგრამის შეფასების პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ სტანდარტის მინიმალური მოთხოვნით თუ საუკეთესო გამოცდილებით, რომელიც შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

ექსპერტმა ქეთევან კოტეტიშვილმა აღნიშნულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტი, ფლაგმანი განათლების სისტემისა, აქედან გამომდინარე უნივერსიტეტმა მაქსიმალურად უნდა გაითავალისწინოს დამსაქმებელთა ინტერესები და მაქსიმალურად მოარგოს თანამედროვე პირობებს. არის ახალი მიმართულებები, ნანოტექნოლოგიები. ექსპერტი არ მიესალმება იმ ფაქტს რომ ნანოტექნოლოგიების თანამედროვე მიდგომების სილაბუსში იყოს 80-იანი წლების ლიტერატურა, რადგან აღნიშნული მიმართულებები ძალიან სწრაფად განვითარებადი იყო, აქედან გამომდინარე უნივერსიტეტმა მაქსიმალურად უნდა შეინარჩუნოს მაღალი სტანდარტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ აღნიშნულ სკოლასთან და დამსაქმებელთან მიმართებაში ისაუბრა და აღნიშნა, რომ დამსაქმებელი არის პროგრამული კომიტეტის წევრი, სადაც რეგულარულად ტარდება გამოკითხვები. დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ პარლამენტში ინიცირება გაკეთებული იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელი იყოს 240 კრედიტთან პროგრამებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, გეოგრაფია) მასწავლებლის მაინორის შეთავაზება, რომელიც ერთისმხრივ დეფიციტს შეავსებს და მეორეს მხრივ გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმებას, რაც ძალიან მომგებიანი იქნება, თუმცა დღესდღეობით საკანონმდებლო ბაზა ამის შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად სურვილი ვერ იქნება დაკმაყოფილებული, აღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:50

დასრულების დრო: 15:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი,

რჩევები:

1. სასურველია დაზუსტდეს, პროგრამის სწავლის ზოგიერთი შედეგი და შესაბამისად აისახოს კურიკულუმის რუკაში;
2. სასურველია, ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდეს ლიტერატურა;
3. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან მეტად მოხდეს სტუდენტთა ხელშეწყობა/მოტივირება, ასევე ინფორმაციის მიწოდების დამატებითი საშუალებების გამოყენება რათა მოხდეს სტუდენტთა უფრო აქტიურად ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში;
4. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;
5. სასურველია, შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარების დეტალური სამოქმედო გეგმა (გრძელვადიანი და მოკლევადიანი პერიოდებზე) ფინანსური რესურსების მითითებით;

6. სასურველია, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში გაახლდეს გამზომი ხელსაწყოები;
7. სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა ელექტრონული, საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ;
8. სასურველია, გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
9. სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში;
10. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
11. სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს კვლევა მობილობის დინამიკის მიამართულებით;
12. სასურველია გაძლიერდეს დაინტერესებულ მხარეებიდან მიღებული უკუკავშირზე რეაგირება;
13. სასურველია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაძლიერდეს სილაბუსების მონიტორინგი ლიტერატურის განახლების მიზნით;
14. სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადის მიენიჭა აკრედიტაცია.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფუნდამენტური ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფუნდამენტური ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	1.07.2012 გადაწყვეტილება N181
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფუნდამენტური ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დამშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 Physics
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
15	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, თსუ-ს მე-2 კორპუსი, 0179, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფუნდამენტური ფიზიკის“ სამაგისტრო ს აგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ 2021 წლის 31 მაისიდან და 2 ივნისამდე განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2 ივნისს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრება კი გაიმართა დისტანციურად, ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; პროგრამის ხელმძღვანელს; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფუნდამენტური ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. პროგრამაში მოცემულ შედეგებზე გასვლა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად შეუძლებელია მოძველებული ლიტერატურის განახლების გარეშე. შესაბამისად უნდა განახლდეს ლიტერატურა და მოიცავდეს თანამედროვე მიდგომებს;

2. ამაღლდეს ცნობადობა პლაგიატის შესახებ, რადგან მაგისტრანტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს და იქ ასახული უნდა იყოს მეცნიერული სიახლე;

3. გადაიხედოს საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო კურსების შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში შესაბამის საფეხურთან.

4. სამაგისტრო ნაშრომები შესრულებული იყოს უნივერსიტეტის მიერ მიღებული სტანდარტით.

რჩევები:

1. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ორგანიზების ხელშეწყობა;

2. გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის უფრო ინტენსიურად მიწოდება სტუდენტებისა და პერსონალისთვის;

3. მეტი ურთიერთობა დამსაქმებლებთან პროგრამის შემუშავების პროცესში;
4. რელევანტურად გაიწეროს სასწავლო კურსებში დამოუკიდებელი მუშაობის საათები;
5. სასურველია სასწავლო კურსების კრედიტების ზრდა ხდებოდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შემცირების ხარჯზე და არა ამ საათების ზრდის ხარჯზე;
6. კარგი იქნებოდა თუ პროგრამის სასწავლო კურსების შემუშავებაში ჩართულები იქნებოდნენ დამსაქმებლებიც
7. მაგისტრატურის დებულებაში გაწერილი იყოს ყველა ის ნიუანსი, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი დონის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას;
8. სასურველია, აქტიურ პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მექანიზმის შემუშავება;
9. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;
10. მნიშვნელოვანია პლაგიატისგან დაცვის მიზნით აქტიურად მოხდეს შესაბამისი ქმედითი ღონისძიების გატარება, რომელიც პლაგიატის პროგრამის მიმართ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარებასა და პრაქტიკაში პროგრამა „Turnitin“-ის გამოყენებას შეუწყობს ხელს;
11. მნიშვნელოვანია, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მეტ ინფორმაციას მიაწოდებს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზებისა და ელექტრონული რესურსების შესახებ და შესაბამისად აქტიურად დაინერგოს მათი გამოყენება პრაქტიკაში რათა თავიდან იქნეს არიდებული არალიცენზირებული რესურსების მოხმარება;
12. სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში გაახლდეს სასწავლო დანიშნულების აპარატურა;
13. გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ;
14. გაიზარდოს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
15. სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც;
16. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში და მოხდეს გამოკითხვებში დაინტერესებული მხარეების გამო პასუხების დონის კიდევ უფრო გაზრდა;
17. სასურველია, უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა;
18. სასურველია, თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არამარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით;
19. სასურველია, თვითშეფასების აღწერით ნაწილში მითითებული რიცხობრივი მაჩვენებლები იყოს შესაბამისობაში იერთმანეთთან;
20. სასურველია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პერიოდულად მოხდეს სილაბუსების გადამოწმება და მასში არსებული მოძველებული ლიტერატურის ცვლილებაზე რეკომენდაციის გაცემა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის მისამართით;

21.სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა ჩაიარა დადებითად. მან განმარტა, რომ სამაგისტრო საფეხურზე ხდებოდა გაყოფა გამოყენებითი ფიზიკის და ფუნდამენტალური ფიზიკის. ექსპერტის აზრით, არსებობდა ტენდენცია, რომ ფუნდამენტურ ფიზიკას აქვს თეორიული ხასიათი, ხოლო გამოყენებით ფიზიკას აქვს ექსპერიმენტალური ხასიათი. რაც მისი მოსაზრებით არაა მართებული, რადგან ფიზიკა არის ემპირიული მეცნიერება და მთლიანად ეყრდნობა ექსპერიმენტს, როგორც ფუნდამენტური ასევე გამოყენებითი. გამოყენებითი ფიზიკაში ასევე არის ინჟინერიის ელემენტები და ა.შ. თუმცა ფუნდამენტური ფიზიკა მთლიანად ეყრდნობა ექსპერიმენტს. პროგრამის კურსებში არის ტენდენცია, რომ მაგალითად პირველი სემესტრის კურსებში ლაბორატორიული მუშაობა თითქმის არ არის.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას „ამაღლდეს ცნობადობა პლაგიატის შესახებ, რადგან მაგისტრანტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს და იქ ასახული უნდა იყოს მეცნიერული სიახლე;“ ექსპერტმა აღნიშნა, რომ პლაგიატთან დაკავშირებით ბოლო წლებში განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული, თუმცა ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ არ იყო აღნიშნული ცნობილი არც პროფესორებისთვის და არც სტუდენტებისთვის. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების აუცილებლობიდან გამომდინარე გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია. ასევე ექსპერტთა რეკომენდაცია შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ფორმას, რადგან შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტს. აღნიშნულ საფეხურზე კვლევას აქვს დიდი მნიშვნელობა, სადაც ერთვება მკვლევარების პროფესიონალიზმი. ასევე არ არის ლაბორატორიების პრობლემა, რადგან ის აპარატურა, რომელიც მიღებულია გრანტების მეშვეობით უკვე ჩართულია სტუდენტების კვლევებში.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის ამ სახით წარმოდგენა იყო პროგრამის განმახორციელებლებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების ნაწილი. დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ პროფესორები აღნიშნულ პროცეს კარგად ფლობდნენ და შესაბამისად სახეზე იყო საუკეთესო შედეგებიც. ფიზიკის საბაკლავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები სპირალური კურიკულუმით იყო წარმოდგენილი, იერარქია სრულად იყო დაცული და გამოყენებული იყო საინტერესო მეთოდოლოგია იმ თვალსაზრისით, რომ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებით იწყებოდა ამის შექმნა, არის სამკუთხედის პრინციპით. დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ რომ სწორი მეთოდოლოგია იყო აღნიშნულ კურსებთან მიმართებით. რაც შეეხება პლაგიატთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ფართო მასშტაბიანი კამპანია იყო ამასთან დაკავშირებით გაწეული. ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც LMS-ში არის დაფიქსირებული, პლატფორმის პირველივე გვერდზე ეხსენება გზამკვლევები, ვიდეო ლექციები და ყველა ანიმაციური გზამკვლევი, რომელიც აძლევს შესაძლებლობა, ნახოს, ატვირთოს და კურსებში ჩაშენებული კონკრეტული დავალებისთვის გამოიყენოს აღნიშნული Software, რომელიც დაწესებულებამ იყიდა 10 000 ლიცენზიით. ცნობადობის ასამაღლებელი პროცესი გაწეული

დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან. პროცესი დაიწყო წელიწადნახევრის წინ. თუკი 2020 წლის დასწყისში ატვირთული იყო 3000 დავალება, დღევანდელი მდგომარეობით 100 000 მეტი დავალებაა ატვირთული.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომების შეფასებას, დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ფორმა შესაბამისია ფაკულტეტის მიერ დადგენილი ნორმის, ხოლო ნაშრომები მაღალი ხარისხით და კვლევით არის წარმოდგენილი, რაც არის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ ნაშრომის ფორმალური მხარე ექვემდებარება სტანდარტს, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე, რასაც აკონტროლებენ დაწესებულების წარმომადგენლები. საფაკულტეტო კონფერენციაზე ნაშრომების დაცვა არ მოხდება თუ დაგენილი წესებით არ არის გაფორმებული, რომლებიც დადგენილი აქვს ფაკულტეტს. დადგენილებაში გაწერილია, შესავალის არსებობა, შინაარსობრივი მხარე, გაფორმება და ლიტერატურის გაფორმება.

რაც შეეხება ფუნდამენტურ და გამოყენებითი ფიზიკის გაყოფას, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის აკადემიური თავისუფლება. აღნიშნული პროცესი დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან გაკეთდა პირველი მოდერნიზაციის დროს 2008 წელს, რომელშიც ჩართული იყო არა მხოლოდ თსუ-ის წარმომადგენლები, არამედ წამყვანი მეცნიერები საქართველოდან და დამსაქმებლები. ფიზიკა არის ექსპერიმენტული დარგი და ექსპერიმენტი არ არის გამოყოფილი ფუნდამენტურ ფიზიკაში, წარმოდგენილია ექსპერიმენტული საგნებიც და ლაბორატორიებიც, მაგრამ მეორე სემესტრიდან. საგნები საერთოა ყველა მოდულისთვის (6 სპეციალიზაცია) ძირითადად მეთოდოლოგიაზეა დამყარებული საგნები, შესაბამისად პირველ კურსზე არ ისწავლება ლაბორატორიული სამუშაოები, ხოლო მეორე კურსიდან ყველა მოდულშია გაწერილი ლაბორატორიული სამუშაოები გაძლიერებულად.

ლიტერატურასთან დაკავშირებით ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ ელიაშვილმა და აღნიშნა, რომ წიგნისათვის მოხმარების ვადის დაწესება არ არის მართებული. თუ წიგნი უხარისხოა, ის თავისთავად გავა ბაზრიდან და არავინ მოიხმარს, თუმცა არის გამოცემები, რომლებიც ათწლეულობით ძლებენ და თაობები არის მათზე გაზრდილი. ლანდაუ ლიფშიტზის მრავალტომეული, 30-იანი წლებიდან მოდის. არსებობს რუსული ლიტერატურის თარგმანები ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე საუკეთესო გამომცემლობების მიერ, აქედან გამომდინარე რუსული ენის არ ცოდნა სტუდენტისათვის აღარ იქნება პრობლემა. მაგისტრანტს უნდა შეეძლოს უცხო ენაზე ლიტერატურის წაკითხვა. ასევე გრავიტაციასა და კოსმოლოგიასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოსმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სამყაროს როგორც ერთიან სისტემაზეა, სადაც შეიძლება ჩაირთოს ასპექტები, როგორც არის გეომეტრიული - გრავიტაციის თეორია და ასევე ნაწილაკების ფიზიკა. სტუდენტებისათვის ორივე საკითხი საინტერესოა.

საბჭოსს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით. არის თუ არა აუცილებლობა იმისა, რომ ნაშრომი პლაგიატზე შემოწმდეს, ვიზიტის ფარგლებში შემოწმებულ ნაშრომებში ხომ არ იყო გამოკვეთილი რაიმე საკითხი, რაც გახდა აღნიშნული რეკომენდაციის წინაპირობა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, სადაც საუბარი იყო სამეცნიერო სიახლეზე, თუმცა აღწერილობით ნაწილში არ იყო დაიფიქსირებული, რომ ამ ნაწილში რაიმე ხარვეზი იყო სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით. ასევე გამოხატული იყო პოზიცია თითქოს არ იციან სტუდენტებმა იმ პრაქტიკის შესახებ, რაც ინსტიტუციაში არის დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე დიანა მჭედლიძემ ექსპერტთა ჯგუფს მოუწოდა აღნიშნული საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, რომ 2.3 კომპონენტში მოცემული იყო რჩევა „მაგისტრატურის დებულებაში გაწერილი იყოს ყველა ის ნიუანსი, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი დონის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას“ თუმცა ამავდროულად ექსპერტებმა სხდომის მიმდინარეობისას აღნიშნეს, რომ სამაგისტრო ნაშრომები მაღალ დონეზეა შესრულებული და რეკომენდაცია შეეხებოდა მხოლოდ ნაშრომების ტექნიკური გაფორმების ხარვეზს. აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს უფრო მეტად განემარტად აღნიშნული საკითხი. ასევე საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამულ ბიუჯეტში განსაზღვრული იყო ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, რისი გათვალისწინებითაც პროგრამა მინუსში იყო. აქედან გამომდინარე, როგორია პროგრამის მდგარდობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ განმარტება გააკეთა პლაგიატთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს არის საერთო მსოფლიო პრაქტიკა, რომელიც დაიწყო რამოდენიმე წელია. როდესაც იგზავნება სტატია ჟურნალში, პირველი რასაც ჟურნალი აკეთებს ეს არის სტატიის შემოწმება პლაგიატზე საიდანაც მოდის პროცენტული შედეგი. არსებობს ცნობილი პროგრამები, რომელიც ამას აკეთებენ. შემდგომ ავტორმა უნდა გაასწოროს და დაიყვანოს 10%-ზე ქვევით. პლაგიატის გარკვეული ნაწილი დასაშვებია, რადგან შეიძლება იყოს დამთხვევა და არა პლაგიატი. აღნიშნული პროცედურა, სამეცნიერო ჟურნალებიდან გადმოვიდა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებში. თითქმის ყველა უნივერსიტეტში არის სისტემა, როდესაც მაგისტრანტი აგზავნის ნაშრომს ელექტრონულად შესაბამის სისტემაში, სადაც განისაზღვრება დამთხვევის პროცენტი, შემდგომ ნაშრომი ეგზავნება ხელმძღვანელს და ხელმძღვანელი განსაზღვრავს ეს ნამდვილად დამთხვევაა თუ არა. ხელმძღვანელი არის პასუხისმგებელი. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული სისტემის შესახებ სტუდენტებმა არ იცოდნენ. სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს შენიშვნები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან კოტეტიშვილმა განმარტა, რომ როდესაც ხდება სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების შეფასება, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ფორმატში აქვს უნივერსიტეტს წარმოდგენილი. შემოვიდა ახალი გაფორმების მეთოდები „ჩიკაგოსტაილი“ და „აპასტაილი“. კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი ამას დააფიქსირებს, თუ რომელი სტილით შეიძლება გაფორმდეს ნაშრომი. ასევე დაწვრილებით იყოს გაწერილი, როგორ გაფორმდეს ლიტერატურა, რა ფონტით დაიწეროს, რათა ერთიან სტანდარტში იყოს უნივერსიტეტის ყველა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი გაწერილი. ასევე ექსპერტმა ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ფუნდამენტური მიმართულებები ფიზიკაში არ იცვლება, თუმცა ექსპერტთა პოზიცია იყო, რომ მაგისტრატურის პროგრამის კურსებში ჩადებული იყო რუსულ ენოვანი ლიტერატურა, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის ინგლისური ენა, ასევე კარგი იქნებოდა,

რომ პროგრამის ხელმძღვანელებს ინგისურენოვანი ლიტერატურა ჩაედოთ სასწავლო კურსების ლიტერატურაში. ასევე ინგლისური საერთაშორისო სამეცნიერო ენაა, სამაგისტრო ნაშრომი კი მოიცავს კვლევის ნაწილს, რომელიც მეცნიერული სიახლე უნდა იყოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა, რომ არსებობს უფასო სისტემები პლაგიატის დასადგენად, სადაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა გადაემოწმებინა სამაგისტრო ნაშრომები. ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცეზენტი არიან პასუხისმგებელი პლაგიატთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ პლაგიატის სისტემებთან დაკავშირებით ცნობადობა მაღალია დაწესებულებაში. ქართულმა ინსტიტუციებმა „ერაზმუს +“ პროგრამის ფარგლებში შეიძინეს პლაგიატის ამომცნობი პროგრამა, რომელიც ინეტნსიურად ხორციელდება. თუმცა არ არის განსაზღვრული არცერთი მიმართულებით, რადგან აღნიშნული პროგრამა ადგენს მსგავსებას, ხოლო შემდგომ ხელმძღვანელთან ხდება აღნიშნული საკითხის გავლა. კონკრეტული მიმართულებების მიხედვით ეს შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული. მაგალითად ფიზიკის შემთხვევაში უამრავი სამეცნიერო ნაშრომი არის იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული, რაც აპრიორი გამორიცხავს პლაგიატის შესაძლებლობას. აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია იყოს რჩევა, რათა დაწესებულების წარმომადგენლებმა უფრო მეტად შეუწყონ ხელი ცნობადობის ამაღლებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ყველა ლიტერატურის ინგლისური შესატყვისი აქვთ პროგრამაზე, მაგრამ არის რუსული ლიტერატურაც. ხოლო ნაშრომის ხელმძღვანელთან დაკავშირებით, სტუდენტი ნაშრომზე მხოლოდ დამოუკიდებლად არ მუშაობს, რადგან ამოცანა მიცემული აქვს ხელმძღვანელისგან და მთელი სემესტრის განმავლობაში ხელმძღვანელი აკონტროლებს სტუდენტის ნაშრომზე მუშაობის პროცესს, ამიტომ სტუდენტი გადმოწერას ვერ განახორციელებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:50

დასრულების დრო: 16:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რჩევები:

1. სასურველია, ზოგიერთ სასწავლო კურსში დაზუსტდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათები;
2. სასურველია, ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდეს ლიტერატურა;

3. სასურველია, გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა;
4. სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ორგანიზების ხელშეწყობა;
5. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;
6. სასურველია, გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის უფრო ინტენსიურად მიწოდება სტუდენტებისათვის;
7. სასურველია, ამაღლდეს ცნობიერება სტუდენტებში უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების და სამეცნიერო ბაზების შესახებ;
8. სასურველია, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში განახლდეს სასწავლო დანიშნულების აპარატურა;
9. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ;
10. სასურველია, გაძლიერდეს დაინტერესებულ მხარეებიდან მიღებული უკუკავშირზე რეაგირება;
11. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
12. სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს კვლევა მობილობის დინამიკის მიამართულებით;
13. სასურველია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაძლიერდეს სილაბუსების მონიტორინგი ლიტერატურის განახლების მიზნით;
14. სასურველია, გაძლიერდეს დაინტერესებულ მხარეებიდან მიღებული უკუკავშირზე რეაგირება;
15. სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფუნდამენტური ფიზიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფუნდამენტური ფიზიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.07.2012 გადაწყვეტილება N196
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 - ფიზიკა
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 ECTS
15	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი, თბილისი, 0179, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ 2021 წლის 31 მაისიდან და 2 ივნისამდე განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2 ივნისს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრება კი გაიმართა დისტანციურად, ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; პროგრამის ხელმძღვანელს; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. პროგრამაში მოცემულ შედეგებზე გასვლა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად შეუძლებელია მოძველებული ლიტერატურისგან ახლების გარეშე. შესაბამისად უნდა განახლდეს ლიტერატურა და მოიცავდეს თანამედროვე მიდგომებს;
2. ამაღლდეს ცნობადობა პლაგიატის შესახებ, რადგან დოქტორანტი ასრულებენ სადოქტორო ნაშრომს და იქ ასახული უნდა იყოს მეცნიერული სიახლე;
3. სადისერტაციო ნაშრომები შესრულებული იყოს უნივერსიტეტის მიერ მიღებული სტანდარტით;
4. მნიშვნელოვანია, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მეტ ინფორმაციას მიაწოდებ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული რესურსების მნიშვნელობასა და გამოყენების აუცილებლობაზე.

რჩევები:

1. რელევანტურად გაიწეროს სასწავლო კურსებში დამოუკიდებელი მუშაობის საათები;
2. სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებულ ირეაგირებებზე;
3. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში და მოხდეს გამოკითხვებში დაინტერესებული მხარეების გამო პასუხების დონის კიდევ უფრო გაზრდა;
4. სასურველია, თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არამარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით;
5. სასურველია, თვითშეფასების აღწერით ნაწილში მითითებული რიცხობრივი მაჩვენებლები იყოს შესაბამისობაში ერთმანეთთან;
6. ინსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი შეხვედრების ორგანიზება და ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების ხელმისაწვდომობისა და სათანადოდ გამოყენების თაობაზე;
7. სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მეორედობდა სადოქტორო პროგრამაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ პლაგიატის პროგრამები რამოდენიმე წლის წინ იქნა შემოღებული, ხოლო ექსპერტები პლაგიატის საკითხს ყველა ვიზიტის დროს ამოწმებენ, რათა სტანდარტის ახალი მიმართულება იყოს მაღალ დონეზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვა უნივერსიტეტებისგან განსხვავებით ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული პლაგიატის სტანდარტთა შესაბამისობასთან დაკავშირებით. რაც იგრძნობა როგორც, სამაგისტრო ასევე სადოქტორო პროგრამაზე.

ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა სამეცნიერო ბაზებზე, ასეთი ცვლილება აქვს უნივერსიტეტს, ზოგიერთი სამეცნიერო დარგისთვის სამეცნიერო ბაზები უფასოა, რაზეც იზრუნა სამინისტრომ. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში, ინტერბიურებისად როდესაც სტუდენტებს ჰკითხა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებმა აღნიშნულ ბაზებზე, მათ არ ჰქონდათ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად არ იყენებდნენ. სტუდენტთა უმეტესი ნაწილი ლიტერატურას ნახულობს ინეტრენტში მოძიებით. სტანდარტი მოითხოვს,

რომ სტუდენტმა იცოდეს ამ ბაზების არსებობის შესახებ და ლეგალურად მოიძიოს სასურველი ლიტერატურა. უნივერსიტეტის ბაზები მას ამის საშუალებას აძლევს, თუმცა სტუდენტს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურის საფეხურზე სტანდარტი არის ისეთი, რომ დოქტორანტური ვერ დაიცავდა ნაშრომს თუ არ გამოაქვეყნა სტატია იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალში. შესაბამისად ჟურნალი აკონტროლებდა პლაგიატს.

სამეცნიერო ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტები მარაგდებიან იმ სტატიებით და მასალით, რაც სჭირდება მას. ასევე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „სადისერტაციო ნაშრომები შესრულებული იყოს უნივერსიტეტის მიერ მიღებული სტანდარტით“ დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო განსაზღვრული მინიმალური სტანდარტით, ასევე ფაკულტეტს აქვს დოქტორანტურის დებულება, ფიზიკის დეპარტამენტს აქვს მუდმივმოქმედი დარგობრივი სადისერტაციო კომისია. ყველაფერი კონტროლდება წინასწარ დაცვაზე და სტანდარტთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე შენგელიამ ისაუბრა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში პლაგიატის მიდგომასთან დაკავშირებით და მაგალითისთვის აღნიშნა, რომ ერთერთმა ინგლისურმა ჟურნალმა ერთ-ერთ ცნობილ უცხოელ პროფესორს შეუკვეთა მიმოხილვითი სტატია, რომელმაც აღნიშნული ჟურნალი შეამოწმა პლაგიატზე და მიიღო პლაგიატის მაღალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ არსებობს სტანდარტული წინადადებები საბუნებისმეტყველო დარგებში მაგალითად: „ამ სურათზე მოცემულია წინააღმდეგობის ტემპერატურული დამოკიდებულება“ რომელსაც სხვანაირად ვერ იტყვი. აქედან გამომდინარე სხვადასხვა მიდგომაა საჭირო ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დარგებში. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რეკომენდაციასთან დაკავშირებით „სადისერტაციო ნაშრომები შესრულებული იყოს უნივერსიტეტის მიერ მიღებული სტანდარტით“ და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია მინიმალური სტანდარტი, ასევე ყველა ფაკულტეტს აქვს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე სტანდარტი. ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე არის ყველაზე მაღალი მოთხოვნები, მაგალითად დისერტაციას ვერ დაიცავს დოქტორანტი თუ მას არ აქვს ერთი სტატია მაინც იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული. ცვლილებები დაახლოებით 15 წელია დაიწყო უნივერსიტეტში. დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციას, რომ მეცნიერება და სტანდარტები სხვანაირად ვერ დაკმაყოფილდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტა ჯგუფს, პლაგიატთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პლაგიატის ნაწილში არის ჩანაწერი „დოქტორანტები ასრულებენ ნაშრომებს და იქ ასახული უნდა იყოს მეცნიერული სიახლე“. ანზორ ბერიძემ ექსპერტთა ჯგუფს მოუწოდა საკითხის განმარტებისკენ თუ რა იგულისხმებოდა აღნიშნულში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია ჩანაწერი მოკლეა და უნდა ყოფილიყო უფრო ვრცლად თუმცა, სამეცნიერო სიახლე უნდა იყოს

ასახული სამაგისტრო ნაშრომში, რადგან კვლევის კომპონენტი დიდი რაოდენობითაა. აღნიშნული ჩანაწერი გამოწვეული იყო იმით, რომ ნაშრომის დასკვნაში არ იყო კარად მოცემული ის სიახლე, რომელიც იყო ნაშრომში. როდესაც საუბარია სტანდარტზე, არ არის საუბარი სტატიათა გამოქვეყნების რაოდენობაზე, არამედ შესრულების ფორმაზე. მაგლითად შემოწმებული 5 ნაშრომიდან ყველა უნდა იყოს ერთნაირი ფორმატით. ფორმატში იგულისმება აბსტრაქტი, შესავალი, დასკვნა ლიტერატურა. ხოლო ვიზიტის ფარგლებში შემოწმებულ ნაშრომებში ერთნაირი სტილი არ ჩანდა, შესაბამისად გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ დამატებით აღნიშნა, რომ მინიმალური სტანდარტით ხდება სადისერტაციო ნაშრომის მიღება, ფიზიკის მუდმივ მოქმედ სადისერტაციო საბჭოზე შემოდის საბუთები, მდივანი ამოწმებს ყველაფერს, ფაკულტეტი გასცემს ცნობას სასწავლო კრედიტების შესახებ, ხოლო ნაშრომში თუ არ არის დასკვნა, შესავალი და ჩამოწერილი არ არის მიღებული შედეგები არ მიიღება დისერტაცია დასაცავად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დაეკონკრეტებინათ წარმოდგენილი ნაშრომებიდან რამდენ ნაშრომს გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი.

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 5-ზე მეტ სადოქტორო ნაშრომს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მოცემული მინიმალური სტანდარტი მიღებული აქვს 2018 წელს, ხოლო მანამდე არ არსებობდა უნივერსალური გაფორმების წესი. დაწესებულების წარმომადგენლების აზრით ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მინიმალური სტანდარტის დაწესებამდე შესრულებულ ნაშრომებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ დაადასტურა, რომ სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული რეკომენდაცია შეეხებოდა მხოლოდ ნაშრომის ფორმირებას და არა შინაარსობრივ ნაწილს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:50

დასრულების დრო: 17:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2. კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის

მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რჩევები:

1. სასურველია, ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდეს ლიტერატურა;
2. სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენების თაობაზე;
3. სასურველია, ამაღლდეს ცნობიერება სტუდენტებში უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების და სამეცნიერო ბაზების შესახებ;
4. სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში;
5. სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში და მოხდეს გამოკითხვებში დაინტერესებული მხარეების გამოპასუხების დონის კიდევ უფრო გაზრდა;
6. სასურველია გაძლიერდეს დაინტერესებულ მხარეებიდან მიღებული უკუკავშირზე რეაგირება;
7. სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.07.2012 გადაწყვეტილება N182
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გამოყენებითი ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 - ფიზიკა
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
15	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, თსუ-ს მე-2 კორპუსი, 0179, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ აღნიშნა, რომ 2021 წლის 2 და 4 ივნისს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2 ივნისს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრება კი გაიმართა 4 ივნისს დისტანციურად, ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; პროგრამის ხელმძღვანელს; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს; თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს. ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის ათვისებისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები).

სსიპ - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში (თითქმის ყველა) მოძველებული ლიტერატურა შეიცვალოს თანამედროვე გამოცემებით; 6 რეკომენდირებულია შეიცვალოს მოდულში გამოყენებითი ელ.დინამიკა APH18 ელექტრონიკის საფუძვლების სილაბუსში ჩადებული APH27 სიგნალის ციფრული დამუშავება;
2. რეკომენდირებულია ამოღებულ იქნეს მოდულში მასალათმცოდნეობა ჩადებული FPh18 პლაზმის ფიზიკის საფუძვლები და FPh20 მაგნიტური ჰიდროდინამიკა, რომლის მიზნები და სწავლის შედეგები აღნიშნულ მოდულს არ შეესაბამება;
3. რეკომენდირებულია სპეციალიზაციაში გეოფიზიკა APh47 დედამიწის გარსების ფიზიკა გარდაცვლილი ავტორი/ლექტორის ანზორ გველესიანის ამოღება;
4. რეკომენდირებულია სპეციალიზაციაში გეოფიზიკა APF48 ზღვა-ატმოსფეროს ურთიერთქმედებები გარდაცვლილი ავტორის ავთანდილ კორძაძის ამოღება; რეკომენდირებულია სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზისა და უკეთ დადგენის და მიღებული შედეგების პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნებისთვის დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, დამსაქმებლების) ამ პროცესში მეტი ჩართულობის მოტივირების ხელშეწყობა;
5. მნიშვნელოვანია გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მეტ ინფორმაციას მიაწოდებს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზებისა და ელექტრონული რესურსების შესახებ და შესაბამისად აქტიურად დაინერგოს მათი გამოყენება პრაქტიკაში რათა თავიდან იქნეს არიდებული არალიცენზირებული რესურსების მოხმარება;
6. რეკომენდირებულია სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა დასკვნაში არსებული რჩევები:

1. სასურველია, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი;
2. სასურველია, დარგობრივი უცხო ენის სწავლების შემოტანა;
3. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;
4. სასურველია, პლაგიატისგან დაცვის მიზნით აქტიურად მოხდეს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომელიც პლაგიატის პროგრამის მიმართ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები სგატარებასა და პრაქტიკაში პროგრამა „Turnitin“-ის გამოყენებას შეუწყოფს ხელს;
5. სასურველია, ფაკულტეტმა რეგულარულ საფუძველზე უზრუნველყოს ცალკეული პროგრამების ბიუჯეტის მომზადება, პროგრამების ფინანსური მდგომარების სურსათის წარმოსადგენად და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპის საფუძველზე;
6. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას;
7. სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად ,მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;

8. გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
9. სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში გაახლდეს გამზომი ხელსაწყოები;
10. სასურველია, დამსაქმებლების აქტიური ჩართვა მაგისტრების მომზადების პროცესში სტუდენტებისთვის გაუმჯობესდეს ინფორმირებულობა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ, მე-5 სტანდარტის შესაბამისობის ნაწილზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები წარმოდგენილი იყო კონკრეტული მიმართულებებით და დაკავშირებული იყო დამსაქმებლების და სტუდენტთა ჩართულობაზე აღნიშნულ პროცესში. ნარატივში მთლიანად იყო აღწერილი პროცესი და პროცედურა, თუ როგორ იყვნენ ჩართულები დამსაქმებლები და სტუდენტები, როგორ ტარდებოდა ინტერვიუები და გამოკითხვები და როგორი ტიპის უკუკავშირი დგებოდა. ასევე აღნიშნული რეკომენდაციები რჩევის შინაარსისაა, რადგან ნარატივშიც წერია, რომ არსებობს მექანიზმი, ხორციელდება აქტივობები და მთელი ეს პროცესი, როგორც გაწერილი, ასევე შერსულეულია. დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნულ პროცესს უყურებენ განვითარების თვალსაზრისით. როდესაც სტუდენტები არ ავსებდნენ გამოკითხვებს შეიცვალა კითხვარები და ამაში ჩაერთო ფსიქოლოგიისა და მეცნიერებათა განვითარების ფაკულტეტი. ყველა კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს ღია შესაძლებლობა დააფიქსიროს მოსაზრება კურსთან და სილაბუსის ავტორთან დაკავშირებით. შემდეგ აღნიშნული დოკუმენტაცია გროვდება და გადაეცემა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს. მას შემდეგ, რაც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს, რომ აღნიშნული პროგრამა ვერ მუშაობდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, აღნიშნულ ფაკულტეტზე დაიწყო კონკრეტული მიმართულებით, კურსის რეპრეზენტაციების პროცესის მომზადება, რომელიც წარმოადგენს დიდ პროექტს და სწორედ ფიზიკის წარმომადგენელი ჰყავს ინსტიტუციას ჩართული. არსებობს მექანიზმი, რომელიც ხორციელდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე შენგელაიამ ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომელსაც არ ეთანხმებოდა. პირველი რეკომენდაციაზე, მოძველებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისი აზრით ახალი წიგნი აპრიორი სჯობს ძველს, არ არის სწორი მოსაზრება. არსებობს კლასიკური ლიტერატურა, რომლებზე უკეთესიც ჯერ არ გამოსულა, სხვა შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ ახალი და უკეთესი არსებობის შემთხვევაში, ასწავლონ თანამედროვე ლიტერატურით. ასევე, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „რეკომენდირებულია შეიცვალოს მოდულში გამოყენებითი ელ.დინამიკა APH18 ელექტრონიკის საფუძვლების სილაბუსში ჩადებული APH27 სიგნალის ციფრული დამუშავება;“ სილაბუსი თავისი შინაარსით არი სწორი, თუმცა იყო მექანიკური შეცდომა სათაურში. აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა გამოსწორდა. მესამე რეკომენდაციაში „ამოღებულ იქნეს მოდულში მასალათმცოდნეობა ჩადებული FPh18 პლაზმის ფიზიკის საფუძვლები და FPh20 მაგნიტური ჰიდროდინამიკა, რომლის მიზნები და სწავლის შედეგები აღნიშნულ მოდულს არ შეესაბამება;“ განსაზღვრული ორი საგანი არის გეოფიზიკისათვის სავალდებულო საგნები, ხოლო რეკომენდაციაში გაწერილი, მასალათმცოდნეობის მოდულში აღნიშნული საგნების არსებობა არ არის სავალდებულო სილაბუსის ის არის არჩევითი საგანი. პლაზმის ფიზიკა გადაჯაჭვულია მასალათმცოდნეობასთან, მყარი სხეულების ფიზიკასთან. ასევე, მაგნიტური ჰიდროდინამიკა, იქ არის გრიგალების მოძრაობა ზეგამტარს შორის, პირდაპირ შეეხება მაგნიტურ ჰიდროდინამიკას და თუ სტუდენტი არჩევს ამ საგანს და

გააძლიერებს ამ მიმართულებით იქნება მისასაღებელი. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტების რეკომენდაციას. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარდაცვლილი ავტორი არის მხოლოდ ავტორების ჩამონათვალში, გამომდინარე იქიდან, რომ მისი ავტორობით არის შექმნილი სილაბუსის შინაარსობრივი ნაწილი. სილაბუსში მისი გვარი ავტორებში დარჩა, სასწავლო გეგმაში და ლექტორებში კი ამოღებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა დამსაქმებლებთან ურთიერთობაზე და აღნიშნა, რომ გამოყენებითი ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაში ჩადებულია სამედიცინო ბირთვული ფიზიკის მოდული, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი რევაზ შანიძე. აღნიშნული მოდულის განხორციელება დაიწყო მაშინ, როდესაც მეცნიერი ფრიდონ თოდუა დაუკავშირდა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მედიცინას ჰქონდა ბევრი თანამედროვე ინსტრუმენტი, თუმცა იყო კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა. სწორედ დამსაქმებლებისგან მოდიოდა თხოვნა, რომ სამედიცინო ბირთვული ფიზიკის მოდული შექმნილიყო, რომელიც ამ ეტაპზე წარმატებით ხორციელდება და სტუდენტები გადიან „თოდუას“ სახელობის კლინიკასა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ შანიძემ აღნიშნა, რომ „სამედიცინო ბირთვული ფიზიკის“ მოდულზე ამჟამად სწავლობს 6 მაგისტრანტი, რაც არ წარმოადგენს დაბალ მაჩვენებელს გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად ფიზიკას არ ჰყავს ბევრ სტუდენტი. აღნიშნულ მოდულზე კითხულობენ თოდუას ცენტრის პროფესორები, აღნიშნული მოდულის წარმომადგენლებს მჭიდრო კავშირი აქვთ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების“ სააგენტოსთან, რადგან ბირთვული სამედიცინო ფიზიკა დაკავშირებულია რადიაციულ უსაფრთხოებასთან. აღნიშნული სააგენტო ხშირად იწვევს სტუდენტებს. ასევე არის ქირურგიის ინსტიტუტი, სადაც ერთ-ერთ პოზიციაზე აიყვანეს პროგრამის მაგისტრანტი, რაც ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული მიმართულება საჭიროა. არსებობს მოლოდინი, რომ კიდევ უფრო განვითარდება, რადგან სააქართველოში სხვა დონეზე ავა რადიაციული თერაპია, შემოდის ახალი დანადგარები, პროტონული თერაპია იქნება რამოდენიმე წელიწადში, რასაც სჭირდება დანადგარებისა და ცოდნის მომზადება. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით აღნიშნულ პროგრამაზე იქმნება საჭირო ცოდნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით. მექანიზმი არ არის სრულყოფილად ამუშავებული თუ საერთოდ არ არის, რადგან რეკომენდაციაში იკითხება, რომ არ არის, ხოლო დაწესებულების წარმომადგენლების მსჯელობისას აღინიშნა, რომ არის თუმცა გასაუმჯობესებელია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ილია ბოცვაძემ აღნიშნა მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, დეტალურად არის აღწერილი პროცესები, რომელიც მიმდინარეობს უნივერსიტეტში, თუმცა ჯგუფებთან გადამოწმებისას გამოკვეთა სისუსტეები. მექანიზმი გაწერილია, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო თუ რამდენად ხორციელდებოდა პრაქტიკაში. სწორედ ამასთან დაკავშირებით გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია. ასევე 5.3 სტანდარტთან მიმართებაში ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულები, რადგან საბოლოოდ მომხარებლები თავად არიან. უნივერსიტეტის ძლიერი მხარე მაღალი დონის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონლია, თუმცა ექსპერტის მოსაზრებით ფაკულტეტი და უნივერსიტეტი უფრო მეტად უნდა დაეხმარონ აღნიშნულ პროგრამას დაინტერესებული პირების ამ პროცესში ჩართვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა აკრედიტაციაზე წარდგენამდე პირველ რიგში გადის პროგრამულ კომიტეტზე, სადაც არიან დამსაქმებლები და სტუდენტები. პროგრამული კომიტეტი იწყება ფაკულტეტის საბჭოზე, სადაც მაღალია სტუდენტთა წარმომადგენლობა. თუ პროგრამა არ იქნა მოწონებული კომიტეტის მიერ ის არ განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და მანამდე გაივლის გადამუშავების პროცესს სანამ არ იქნება კომიტეტზე მოწონებული. აქედან გამომდინარე დამსაქმებლებისა და სტუდენტთა ჩართულობა გარანტირებულია. ასევე პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი ამირან ბიბილაშვილი არის ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელი, დელტას სამეცნიერო ცენტრში მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი და ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი დავით კაკულია არის „ოპტიკის“ ხელმძღვანელი, რომელიც ასევე დამსაქმებელია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:50

დასრულების დრო: 18:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.1. კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით მეორე და მესამე სტანდარტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რჩევები:

1. სასურველია, შეიცვალოს მოდულში გამოყენებითი ელ.დინამიკა APH18 ელექტრონიკის საფუძვლების სილაბუსში ჩადებული APH27 სიგნალის ციფრული დამუშავება;
2. სასურველია, ამოღებულ იქნეს მოდულში მასალათმცოდნეობა ჩადებული FPh18 პლაზმის ფიზიკის საფუძვლები და FPh20 მაგნიტური ჰიდროდინამიკა;
3. სასურველია, ზოგიერთ სასწავლო კურსში განახლდეს ლიტერატურა;
4. სასურველია დარგობრივი უცხო ენის სწავლების შემოტანა;
5. სასურველია, გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის უფრო ინტენსიურად მიწოდება სტუდენტებისათვის;
6. სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენების თაობაზე;
7. სასურველია, ამაღლდეს ცნობიერება სტუდენტებში უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების და სამეცნიერო ბაზების შესახებ;

8. სასურველია, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში გაახლდეს გამზომი ხელსაწყოები;
9. სასურველია, სტუდენტებისთვის გაუმჯობესდეს ინფორმირებულობა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ;
10. სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი შედეგები გამოიყენოს პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
11. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;
12. სასურველია, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში და უკუკავშირის გათვალსიწინება;
13. სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ბიოფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		11.07.2012 N182

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ბიოფიზიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 Physics
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
15	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, თსუ-ს მე-2 კორპუსი, 0179, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ბიოფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ აღნიშნა, რომ 2021 წლის 2 და 4 ივნისს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2 ივნისს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრება კი გაიმართა 4 ივნისს დისტანციურად, ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; პროგრამის ხელმძღვანელს; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს; თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს. ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის ათვისებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ბიოფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის კურიკულუმს სავალდებულო საგნების კომპონენტში დაემატოს კვლევითი პროექტისა და ექსპერიმენტების შემუშავება-განხორციელების, სტატისტიკის კომბინირებული საგანი/საკითხები;
2. რეკომენდირებულია, საგნებში ბიოფიზიკის მეთოდები 1, ბიოფიზიკის მეთოდები 2, ნაონაწილაკები მედიცინაში შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის ერთ-ერთ წინაპირობად მიეთითოს ლაბორატორიულ სწავლებაში შეფასებების მინიმალური ზღვრის არსებობა, გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების საკონტაქტო დრო;
3. რეკომენდირებულია, საგნების სილაბუსების „მემბრანების ბიოფიზიკა“ „უჯრედული პროცესების ბიოფიზიკა“, ძირითად ლიტერატურაში გამოყენებული წიგნი თამარ სანიკიძე, “მემბრანის ბიოფიზიკა” თბილისი 2009 წ, სწავლების თემატიკების მიხედვით გადამოწმდეს და მოხდეს ერთიდაიგივე სასწავლო მასალის გამორიცხვა, ხოლო საგანში

„უჯრედული პროცესების ბიოფიზიკა“ მირითად ლიტერატურაში მოწოდებული „თანამედროვე ლიტერატურა ინტერნეტის ვებ-გვერდებიდან“-ის ჩანაწერის ნაცვლად მიეთითოს კონკრეტული ვებ გვერდი მასალის დასახელებით;

4. რეკომენდირებულია, მოხდეს სილაბუსებში (მემბრანების ბიოფიზიკა, უჯრედული პროცესების ბიოფიზიკა, ნანონაწილაკები მედიცინაში, ბიოფიზიკური მეთოდები II, მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლები, თავისუფალი რადიკალების ბიოფიზიკა, ბიოსტრუქტურების ციფრული 3D/4D იმიჯინგი, კვანტური და ნანოფაზური ბიოფიზიკა გამოყენებული მეთოდების პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ასევე ჯგუფური სწავლების მეთოდის (ბიოფიზიკური მეთოდები II, ბიოფიზიკური მეთოდები I) და ზუსტება იმგვარად, რომ ცხადად განისაზღვროს სილაბუსში სწავლების მეთოდებისა და გამოყენების მიზნობრიობა;
5. პროგრამის სილაბუსებში დაიხვეწოს და მეტად გასაგები გახდეს შეფასების კონკრეტული ქულის მიღების კრიტერიუმების სქემა;
6. რეკომენდირებულია, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მეტ ინფორმაციას მიაწოდებს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის სამეცნიეროებაებისა და ელექტრონული რესურსების შესახებ და შესაბამისად აქტიურად დაინერგოს მათი გამოყენება პრაქტიკაში რათა თავიდან იქნეს არიდებული არალიცენზირებული რესურსების მოხმარება;
7. რეკომენდირებულია, მოწვეული ლექტორების, დამსაქმებლების დაკურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ანგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები;
8. რეკომენდირებულია, სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზისა და უკეთ დადგენის დამიღებული შედეგების პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნებისთვის დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) ამ პროცესში მეტი ჩართულობის მოტივირების ხელშეწყობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა დასკვნაში არსებული რჩევები:

1. ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს თსუ-ს სათანადო საჯარო ინფორმაციასთან;
2. გაფართოვდეს ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების არეალი სამედიცინო, სტომატოლოგიური და ფარმაციის დიპლომირებული სპეციალისტებისთვის;
3. პროგრამის არჩევით საგნებს დაემატოს მათემატიკური აპარატის გაძლიერების საგნები, მაგალითად სტატისტიკის (Statistics), მათემატიკური ფიზიკის, (Mathematical Physics), გამოთვლითი ბიოლოგიის (Computational Biology) მიმართულებით;
4. დამატებით ლიტერატურაში რუსულენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უპირატესად წარმოდგენილ იქნეს თანამედროვე ინგლიურენოვანი შესაბამისი ლიტერატურა;
5. სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურის ონლაინ ლინკები მოწოდებულ იქნეს დასახელებისა და ვებგვერდის ლექტორის მიერ ბოლო გადამოწმების აქტიური თარიღის მიხედვით, სასურველია ყოველ სემესტრულად მოხდეს ონლაინ ლინკების გადამოწმება;
6. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ყურადღება გამახვილდეს პლაგიატზე შემოწმების ასპექტზე და რა შეთხვევაში არის პლაგიატი ფიქსირებული;
7. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;

8. სასურველია, ფაკულტეტმა რეგულარულ საფუძველზე უზრუნველყოს ცალკეული პროგრამების ბიუჯეტის მომზადება, პროგრამების ფინანსური მდგომარეობის სურათის წარმოსადგენად და საზოგადოების წინაშე ანგარიშ ვალდებულების პრინციპის საფუძველზე;
9. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/დასხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას;
10. სასურველია, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი;
11. სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
12. სტუდენტებისთვის გაუმჯობესდეს ინფორმირებულობა ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ;
13. გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამამ დადებითი შთაბეჭდილება დატოვა, ინსტიტუტში არსებობს კარგი ლაბორატორიები, ასევე კარგი აპარატურით და კვალიფიციური პერსონალით. სტუდენტები მონაწილეობენ სტატიების გამოქვეყნებაში იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. ასევე პროგრამაზე არის ინოვაციები, აკადემიური პერსონალი არიან პატენტების ავტორები. ექსპერტის მოსაზრებით შესაძლებელია აღნიშნული პროგრამა ყოფილიყო სადოქტორო პროგრამაც კი, თავისი კვლევის დონით. თუმცა, მიზნებში და ამოცანებში ჩანს, რომ სტუდენტი გადის ისეთ შედეგზე რაც შეესაბამება არა სამგისტრო პროგრამას, არამედ სადოქტოროს. სტანდარტების შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი ვალდებული იყო გაეკეთებინა შესაბამისი მითითებები.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა არის ძალიან საინტერესო და ჩარჩოს ცვლილებასთან ერთად პროგრამამ განიცადა ტრანსფორმაცია. მისანიჭებელმა კვალიფიკაციამ შიცვალა ადგილი ჩარჩოში და სწორედ ამის გამო გადაწყობა დასჭირდა მთელს პროგრამას, თუმცა სამომავლოდ როგორ მოხდება აღნიშნული პროგრამის შენარჩუნება, დაემატება თუ არა ახალი კვალიფიკაცია ჩარჩოში ამას აჩვენებს დრო, რადგან პროგრამის კურსდამთავრებულები, ისევე როგორც პროგრამა თვითონ იყვნენ ძალიან წარმატებულები. ასევე მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან, რომ ეს შეიძლება იყოს რეკომენდაციის ნაწილი, რადგან პროცესების არსებობა არის სტანდარტების არსებობა ინსტიტუტში, რომელსაც მკაცრად იცავენ დაწესებულების წარმომადგენლები, თუმცა პროცესი ასევე ვითარდება. 5.3 კომპონენტში რეკომენდაციები რჩევის ხასიათისაა, რაც ასევე ნარატივიდანაც ჩანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ მძინარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის წარმატება ასევე ჩანს იმაში, რომ აღნიშნული ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტები ირჩევენ ბიოფიზიკას, რაც ძალიან პოპულარულია. აღნიშნულ ფაკულტეტზე ზოგიერთი აპლიკანტი შემოდის იმისათვის, რომ შემდგომ შეისწავლოს ბიოფიზიკა. სტუდენტები, რომლებმაც ეს პროგრამა გაიარეს და გააგრძელეს მაგისტრატურაზე სწავლა ამერიკაში ისინი არიან „ეიჩერის“ და „საიასის“ ავტორები. დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის შეფასებასთან

დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ მაგალითად „ბიოფიზიკური მეთოდი 1“ და „ბიოფიზიკური მეთოდი 2“ შესაძლებელია ლაბორატორიული სამუშაოების დამატება და ლაბორატორიულში გადავა სემინარები, თუმცა ნანო ნაწილაკების ლაბორატორია ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი. ასევე არის საგნები, როგორც არის მემბრანის ბიო ფიზიკა და უჯრედული პროცესების ბიო ფიზიკა ძირითად ლიტერატურაში ერთიდაიგივე ქართული ლიტერატურა არის დასახლებული, რომელიც ახალი გამოცემულია. ამ ორ საგანში საკითხების გადაფარვა არ არის რადგან, მემბრანა იმდენად მრავალფეროვანი ორგანოა, რომელშიც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკის, ასევე მათემატიკის და ქიმიის საკითხები. ლიტერატურა ერთია თუმცა თავები სხვადასხვაა, ამიტომ გადაფარვა არ ხდება. ასევე, კიდევ ერთი რეკომენდაცია „რეკომენდირებულია მოხდეს სილაბუსებში (მემბრანების ბიოფიზიკა, უჯრედული პროცესების ბიოფიზიკა, ნანონაწილაკები მედიცინაში, ბიოფიზიკური მეთოდები II, მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლები, თავისუფალი რადიკალების ბიოფიზიკა, ბიოსტრუქტურების ციფრული 3D/4D იმიჯინგი, კვანტური და ნანოფაზური ბიოფიზიკა გამოყენებული მეთოდების პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ასევე ჯგუფური სწავლების მეთოდის (ბიოფიზიკური მეთოდები II, ბიოფიზიკური მეთოდები I) დაზუსტება იმგვარად, რომ ცხადად განისაზღვროს სილაბუსში სწავლების მეთოდებისა და გამოყენების მიზნობრიობა;“ გამოყენებული მეთოდების თვალსაზრისით, მონიტორინგის ჯგუფს დახვდათ ბიოფიზიკის პროგრამაზე კარგი ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა. აღნიშნულ მიმართულებაზე შეიქმნა ოთხი ახალი მეთოდი, რომელიც გამოიყენება სტუდენტებისათვის, რათა ახალ მეთოდში ჩატარდეს ახალი კვლევები. მაგისტრანტი სწავლის დაამთავრების შემდეგ, სტუდენტის შრომა გამოქვეყნებული იქნება იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრი მაკა კაჭარავა დაინტერესდა მიღების წინაპირობად ინგლისური ენის არ არსებობა, ხომ არ იქნება იმის წინაპირობა, რომ ნაშრომის მომზადებისას სტუდენტს შეეძენება რაიმე სახის პრობლემა უცხოენოვანი ლიტერატურის გაცნობის პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნულ შეკითხვას უპასუხა და განმარტა, რომ აუცილებლად დაემატება პროგრამას, მიღების წინაპირობად ინგლისური ენა, რათა სტუდენტმა შეძლოს უცხო ენოვანი ლიტერატურის გაცნობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს 2.3 ქვესტანდარტით გათვალისწინებულ რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ლიტერატურას. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხი წინა განსახილველ პროგრამაში წარმოდგენილი იყო რეკომენდაციის სახით, ხოლო ბიო ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილია, როგორც რჩევა. რამ განაპირობა აღნიშნული.

ექსპერტმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაში პრობლემის სიხშირე დიდი დოზით არ იყო წარმოდგენილი და შესაბამისად გაიწერა რჩევის სახით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:30

დასრულების დრო: 18:49

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.5 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.6 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.1. კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით მეორე და მეხუთე სტანდარტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიღების წინაპირობებში დაემატოს ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების მოთხოვნა B 2 დონეზე.

რჩევები:

2. 2021-2022 სასწავლო წელზე/ან პერიოდზე რომელზედაც იგეგმება მაგისტრანტების მიღება ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სათანადოდ აისახოს თსუ პროგრამების კატალოგში;

3. გაფართოვდეს ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების არეალი სამედიცინო, სტომატოლოგიური და ფარმაციის დიპლომირებული სპეციალისტებისთვის;

4. სასურველია, პროგრამის არჩევით საგნებს დაემატოს მათემატიკური აპარატის გაძლიერების საგნები, მაგალითად სტატისტიკის (Statistics), მათემატიკური ფიზიკის, (Mathematical Physics), გამოთვლითი ბიოლოგიის (Computational Biology) მიმართულებით;

5. სასურველია, საგნებში ბიოფიზიკის მეთოდები 1, ბიოფიზიკის მეთოდები 2, ნანონაწილაკები მედიცინაში შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის ერთ-ერთ წინაპირობად მიეთითოს ლაბორატორიულ სწავლებაში შეფასებების მინიმალური ზღვრის არსებობა, გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების საკონტაქტო დრო;

6. სასურველია, საგნების სილაბუსების „მემბრანების ბიოფიზიკა“ „უჯრედული პროცესების ბიოფიზიკა“, ძირითად ლიტერატურაში გამოყენებული წიგნი თამარ სანიკიძე, „მემბრანის ბიოფიზიკა“ თბილისი 2009წ, სწავლების თემატიკების მიხედვით გადამოწმდეს და მოხდეს ერთიდაიგივე სასწავლო მასალის გამორიცხვა, და მოხდეს ლიტერატურის წაყროების დაზუსტება;

7. სასურველია, დამატებით ლიტერატურაში რუსულენოვანი ლიტერატურის ნაცვლად უპირატესად წარმოდგენილ იქნეს თანამედროვე ინგლიურენოვანი შესაბამისი ლიტერატურა;

8. სასურველია, სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურის ონლაინ ლინკები მოწოდებულ იქნეს დასახელებისა და ვებ გვერდი ლექტორის მიერ ბოლო გადამოწმების აქტიური თარიღის მიხედვით, ონლაინ ლინკების გადამოწმება;
9. სასურველია, ძირითად ლიტერატურაში საგნებში “ბიოფიზიკის მეთოდები II” , ფუნქციური ბიოლოგია 1, მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლები ქართული ლიტერატურასთან ერთად წარმოდგენილ იყოს ინგლისურენოვანი შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა;
10. სასურველია, მოხდეს სილაბუსებში (მემბრანების ბიოფიზიკა, უჯრედული პროცესების ბიოფიზიკა, ნანონაწილაკები მედიცინაში, ბიოფიზიკური მეთოდები II, მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლები, თავისუფალი რადიკალების ბიოფიზიკა, ბიოსტრუქტურების ციფრული 3D/4D იმიჯინგი, კვანტური და ნანოფაზური ბიოფიზიკა გამოყენებული მეთოდების პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ასევე ჯგუფური სწავლების მეთოდის (ბიოფიზიკური მეთოდები II, ბიოფიზიკური მეთოდები I) დაზუსტება;
11. სასურველია, პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი განაწილება;
12. სასურველია, გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის უფრო ინტენსიურად მიწოდება სტუდენტებისათვის;
13. სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენების თაობაზე;
14. სასურველია, ამაღლდეს ცნობიერება სტუდენტებში უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების და სამეცნიერო ბაზების შესახებ;
15. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს დაინტერესებულ ხმარეთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
16. სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი შედეგები გამოიყენოს პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
17. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;
18. სასურველია, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის ზურუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში და უკუკავშირის გათვალისწინება.
19. სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ბიოფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ბიოფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

18:49 საათზე, საბჭოს შემოუერთდნენ გიორგი ღაღანიძე, მარიამ შენგელია, თეონა მატარიძე და ნინო ჭალაგანიძე.

18:49 საათზე, საბჭო დატოვა ელენე ჟურავლოვამ.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ”მეტალურგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეტალურგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012 №557
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მეტალურგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეტალურგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მექანიკა და ლითონის საქმე - 0715
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50 ECTS
15	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 2, 0171, საქართველო
16		-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ შეეცადა საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

შეეცა საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეტალურგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ომარ კიკვიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ვიზიტისათვის შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ომარ კიკვიძე, მამუკა ბენაშვილი, პარმენ ყიფიანი, ლექსო ტორიაშვილი. სადოქტორო პროგრამის „მეტალურგია“ შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 22 და 23 აპრილს ე.წ ჰიბრიდულ რეჟიმში. მატერიალურ - ტექნიკური ბაზების დათვალიერება მოხდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, ხოლო შეხვედრები ჩატარდა ZOOM-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით. შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. შეხვედრები ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეტალურგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ცოდნა და უნარები, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანებზე/მოწყობილობებზე;
2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიენიშნოს ის სფერო(ები) კვალიფიკაციათა ჩარჩოდან, რომელშიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მიღებული განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
3. ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის, მეტალურგიული პროცესების, ლითონების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების სრულფასოვნად შესწავლისათვის, სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნას სემინარები ან არჩევითი კურსები;
4. განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსის სილაბუსში „მეცნიერული კვლევა მეტალურგიაში“;
5. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოხდეს მატერიალური რესურსების განახლება, სრულყოფა და მოდერნიზება;
6. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის ბიუჯეტში პროგრამაში ჩართული პერსონალის უცხო ენების ცოდნის გასაუმჯობესებლად და სხვა ტიპის (მივლინება, კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვ.) დაფინანსების მისაღებად. ასევე პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის;
7. მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასება პროგრამის მდგრადობის კუთხით;
8. პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან განვითარების ტენდენციის გამოკვეთის მიზნით;
9. ჩასწორდეს დანართი 14-ში წარმოდგენილი მონაცემები

რჩევები:

1. უმჯობესია მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღმნიშვნელი ინგლისურად იყოს Doctor of Engineering in Metallurgy;
2. უმჯობესია მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღმნიშვნელი ქართულად იყოს ინჟინერიის დოქტორი მეტალურგიაში;
3. სასურველია დაზუსტდეს ინტერდისციპლინარული კვლევების შედეგის მიღწევის გზები;
4. სასურველია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დოქტორანტურაში ჩასარიცხავად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრებისას;

5. სასურველია სასწავლო კურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს მეტალურგიული წარმოების მანქანა/მოწყობილობებს, მათი გაანგარიშების მეთოდებს, ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების საკითხებს და რიცხვითი გაანგარიშების მეთოდებს;
6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში (პ.3.7), დაზუსტდეს დისერტაციის საჯარო დაცვა დოქტორანტურის დებულების მუხლი 14-ის შესაბამისად;
7. სასურველია საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამის „მეტალურგია“ გახორციელებაში უზრუნველყოს უფრო მეტი ახალგაზრდა კადრების ჩართვა;
8. სასურველია პერსონალის ინგლისური ენის შესწავლის კუთხით დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები;
9. სასურველია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს პერიოდულად, როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩართულობით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ომარ კიკვიძემ დამატებით აღნიშნა, რომ დღეისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ამზადებს ინჟინერიის დოქტორებს მეტალურგიაში. პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრია პროდუქციის წარმოებასთან მჭიდრო კავშირის და პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი გამოცდილებით.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი რეკომენდაცია დაკავშირებულია იმ ფორმულირებასთან, რასაც მისი აღწერით 07/15 კვალიფიკაციათა ჩარჩო „მექანიკა და ლითონის საქმე“ მოითხოვს. გარდა ამისა, რეკომენდაციები წარმოდგენილია სასწავლო გეგმიდან, სილაბუსიდან და სწავლის შედეგებიდან. ასევე ერთი რეკომენდაცია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მამუკა მაისურაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი გაზიარებულია ინსტიტუციის მიერ. მან ასევე რეკომენდაციებთან დაკავშირებით, განმარტა, რომ პლაგიატზე ხდება შემოწმება. ინსტიტუცია ითვალისწინებს რეკომენდაციას, რომელიც შეეხება კონკრეტული სასწავლო კურსის გადახედვას. რეკომენდაციები განხილული იქნება პროგრამის გეგმიური მონიტორინგის პირობებში, დაწესებულების წარმომადგენლები ჩართავენ დაინტერესებულ მხარეებს, როგორც არიან დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და კურსდამთავრებულები. მოცულობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია უკვე გამოსწორებულია ინსტიტუციის მიერ და შესულია ცვლილება დოქტორანტურის დებულებაში. ფინანსებთან და პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებული რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე დოქტორანტების რაოდენობა არის მცირე, რასაც გააჩნია გარკვეული დამაჯერებელი მიზეზები. სფერო ტრადიციულია საქართველოსათვის, არსებობს მეცნიერული მიღწევები, თუმცა ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა ინტერესი საინჟინრო მეცნიერებებისადმი, რაც აისახა მეტალურგიაზეც. ასევე მიღების დროს, პროგრამა თავდაპირველად არ მოხდა პრიორიტეტულ მიმართულებებში, არ მოხდა მისი დაფინანსება. თუმცა, დღესდღეობით დაფინანსებულია და იმატა სტუდენტების რაოდენობამაც. დღევანდელი მდგომარეობით კურსზე საშუალოდ 25-26 სტუდენტია, საიდანაც არის მოლოდინი დოქტორანტების მატებისა. ასევე პროგრამაზე მოდიან წარმოებაში დასაქმებული

ადამიანები, რომლებსაც აქვთ დიდი პრაქტიკული გამოცდილება და შესაბამისად ამ მიმართულებით პროგრამას ეხმარება წარმოება. წარმოება ასევე სტუდენტებს უფინანსებს, როგორც სწავლას, ასევე კვლევას. წარმოებათა ბაზა არის ძირითადი ბაზა, დაწესებულების ბაზასთან ერთად. კვლევის მეთოდები, შედეგების კვლევა, ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების კვლევა, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს პატარა ბაზაზე ტარდება. მდგრადობა სტუდენტების რაოდენობის მიუხედავად არის. ქვეყანას სჭირდება მეცნიერი და პედაგოგი მეტალურგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა არ იყო კვლევა და იყო მხოლოდ კითხვარი. გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ არ იყო წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი და ის, რომ სტუდენტების რაოდენობა მცირეა არ ცვლის საკითხს პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე, უნდა იყოს მითითებული თუ საიდან ფინანსდება სადოქტორო პროგრამა. ასევე, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მის მიერ გადახედილ რამდენიმე დისერტაციაში მითითებული იყო მხოლოდ რუსული ლიტერატურა, მაშინ, როდესაც ფეროს სილიკონ მანგანუმის უმსხვილეს მწარმოებლებში არიან: სამხრეთ აფრიკა, ბრაზილია, ინდოეთი, იაპონია, ნორვეგია და მისი თქმით წარმოედგენელია სტატიები არ იყოს ინგლისურ ენაზე.

საბჭოს წევრი თეონა მატარიძე, დაინტერესდა საგანზე „კვლევის მეთოდები მეტალურგიაში“, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტებს ჰქონდა შემუშავებული რეკომენდაცია. აშკარა გადაფარვა იყო „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკასთან“, თუმცა ასევე გაუგებარი იყო შეფასებების ნაწილი, რადგან ფაქტობრივად კვლევის მეთოდების საგანი ფასდებოდა მხოლოდ ანალიზით ან გამოცდის ფორმით, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო კვლევითი კომპონენტი იქნეს შეტანილი ამ სილაბუსში, რითაც დადასტურდება, რომ პრაქტიკულად უნარები განივითარეს სტუდენტებმა.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა ექსპერტების პოზიციით. მან სთხოვა ექსპერტებს, შეეფასებინათ შინაარსობრივად სადისერტაციო ნაშრომების შესრულება და გაფორმება. ასევე ექსპერტთა მოსაზრებით რომელი წინაპირობის განსაზღვრა იქნებოდა რელევანტური სადისერტაციო ნაშრომზე დოქტორანტის დაშვებისათვის. მაგალითად ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციის გამოქვეყნება, იქნება თუ არა ამ დარგისთვის მისაღები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ პროგრამის ცალკეული სილაბუსების სწავლის შედეგებსა და რუკას შორის იყო აცდენა. მაგალითად „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ სწავლების მეთოდები. სილაბუსში გაწერილ სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის არ იკვეთებოდა დამთხვევა. სილაბუსი თავისი შინაარსით და სწავლის შედეგით სხვა სწავლის შედეგზე გადის, ხოლო რუკაში სხვა რამე იყო მონიშნული. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორია ექსპერტების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ომარ კიკვიძემ სადისერტაციო ნაშრომების შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 3 სადისერტაციო ნაშრომი იყო წარმოდგენილი. მოდელირების თვალსაზრისით, ერთერთი მარტივი რეგრესიული მოდელი იყო და დასაბუთების გარეშე იყო ჩაწერილი. ექსპერიმენტების დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები იძლევა საშუალებას, რომ კარგად იქნას ექსპერიმენტები დაგეგმილი და მის შესაბამისად რეგრესიული მოდელების დადგენა და ადეკვატურობაზე შემოწმება. მათემატიკური მოდელი შეიძლება ექსპერიმენტებითაც მიიღებოდეს, თუკი გაძლიერდება სილაბუსთან დაკავშირებულ

რეკომენდაციაში განსაზღვრული საკითხები. ერთ-ერთი სადისერტაციო ნაშრომი ეხებოდა თხევადი ფოლადის მიღებიდან მზა ნაკერიანი მილების წარმოებამდე ტექნოლოგიის შემუშავებას და სრულად შეესაბამებოდა კვალიფიკაციათა ჩარჩოს დეტალური სფეროს აღმწერს. გათვალისწინებული იყო, როგორც მეტალურგიული პროცესები, ასევე სალობო პროდუქცია, რომელიც მოიცავდა ასევე წნევით დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებს. ეს პროცესები კი იმ მანქანების გარეშე შეძლებელი იყო, რაც საჭიროა პროდუქციის წარმოებისათვის. აქედან გამომდინარე შემუშავებული აღნიშნული რეკომენდაცია მანქანებზე და მოწყობილობებზე. შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს იმ კურსების ფარგლებში, სადაც საჭიროა ან დაემატოს დამატებითი არჩევითი კურსები ან სემინარები. რაც შეეხება ლიტერატურას, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს საბჭოს წევრის მოსაზრებას. ნაშრომებთან დაკავშირებით იკვეთებოდა ხელმძღვანელის პოზიციები. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, შესაბამისად სტუდენტებს არ ექნებათ პრობლემა უცხოური ლიტერატურასთან დაკავშირებით. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იყო ხარვეზები. მაგლითად სწავლის შედეგი, რომელიც დაკავშირებული იყო რიგითი დისციპლინარული კვლევების შედეგთან გასვლაზე, ცალკეული სწავლის შედეგი საჭიროებდა დაზუსტებას, რასთან დაკავშირებითაც რეკომენდაციებშიც იყო საუბარი. ასევე კარგი იქნებოდა, თუ პუბლიკაცია იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომის წინაპირობა. დეპარტემენტს ჰქონდა სამეცნიერო პოტენციალი, რომ მომზადდეს სტატიები, რომელთა გამოქვეყნებაც შესაძლებელი იქნება იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილამემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება აპელირებს დასაქმების ბაზარზე, რადგან წარმოადგენს ერთადერთ მიმწოდებელს დოქტორანტურის საფეხურზე მეტალურგიის მიმართულებით. ინსტიტუცია თანამშრომლობს დამსაქმებელთან და შესაძლებელია დამსაქმებელთა ჩამონათვალის წარდგენაც. ასევე თვითშეფასების ჯგუფშიც იყო ჩართული დამსაქმებელთა წარმომადგენელი. დაწესებულება ფლობს დასაქმების ბაზარზე ინფორმაციას, მაგრამ სხვადასხვა პროგრამაზე მეტნაკლებით წარმატებულობით იქნა წარმოდგენილი მიმდინარე რეაქრედიტაციის პროცესებისათვის აღნიშნული ინფორმაცია. შინაარსი არის თუმცა, არ არის წარმოდგენილი ისე როგორც საჭიროა. პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრის პოზიციას, რომ არ აქვს მნიშვნელობა პროგრამაზე რამდენი სტუდენტი სწავლობს. აღნიშნული პროგრამა არის ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული. აღნიშნული პროგრამა, სანამ ჩაჯდება პრიორიტეტულ პროგრამებში, სტუდენტების მიღების დიდი პრობლემა იყო ასევე ბაკლავრის საფეხურზე, შესაბამისად მაგისტრატურაზე და დოქტურანტურაზე სტუდენტების ნაკლებობა იყო. აღნიშნულ პროგრამას ყველა შემთხვევაში სჭირდება ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ინსტიტუციას აქვს სრულად. კვლევის ნაწილში ასევე ინსტიტუციის პარტნიორებიც ეხმარებიან დოქტორანტს თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის. რუსულ ენოვანი ლიტერატურის გამოყენება ნაშრომებში გამოწვეული იყო დოქტორანტის ენის ბარიერით, რადგან დოქტორანტს არ შეეძლო უცხო ენოვანი ლიტერატურა ეკვლია, გარდა რუსულენოვანისა. ამასთან დაკავშირებით ხარისხის სამსახური მუშაობს, მათივე ინიციატივით მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. აღნიშნული პრობლემა ეტაპობრივად სწორდება. ხოლო სამეცნიერო ბაზებთან წვდომის პრობლემა და რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა უნივერსიტეტი ყველაფერს აკეთებს დოქტორანტისთვის. შედეგების რუკა გამოიკვეთა ინსტიტუციის სისუსტედ და ამ მიმართულებით გადამუშავდება საკითხი.

გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბევრი ლიტერატურა იყო უკრაინული, რადგან პროგრამის პერსონალს მჭიდრო კავშირი აქვს უკრაინასთან, მათი მეტალურგიული მრეწველობიდან გამომდინარე. ხოლო უკრაინელები რუსულ ენაზე აქვეყნებენ და პუბლიკაციების ძირითადი ნაწილი უკრაინელებთან თანაშრომლობის ასახვაა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:45

დასრულების დრო: 20:22

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ცოდნა და უნარები, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანებზე/მოწყობილობებზე, შესაბამისად აისახოს კურიკულუმის რუკაში;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიენიშნოს ის სფერო(ები) კვალიფიკაციათა ჩარჩოდან, რომელშიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მიღებული განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
4. რეკომენდირებულია, ინტერდისციპლინური კვლევებისათვის, მეტალურგიული პროცესების მოდელირების სრულფასოვნად შესწავლისათვის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნას სემინარები ან არჩევითი კურსები;
5. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსში მეცნიერული კვლევა მეტალურგიაში გაიზარდოს კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საკითხების მოცულობა, გასწორდეს გადაფარვები კურსთან "სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა" და შეფასების კრიტერიუმებში გათვალისწინებულ იქნას სტუდენტთა კვლევით უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმი;
6. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
7. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus/ Web of Science) ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;

8. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება;
9. რეკომენდირებულია შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დეტალური სამოქმედო გეგმა (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსებით;
10. რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
11. რეკომენდირებულია, მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასება პროგრამის მდგრადობის კუთხით;
12. რეკომენდირებულია, ბენჩმარკინგის შედეგები გათავალისწინებული იქნას პროგრამის განვითარებისათვის.

რჩევები:

1. სასურველია, დაზუსტდეს ინტერდისციპლინარული კვლევების შედეგის მიღწევის გზები;~
2. სასურველია, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრებისას;
3. სასურველია, სასწავლო კურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს მეტალურგიული წარმოების მანქანა/მოწყობილობებს, მათი გაანგარიშების მეთოდებს, ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების საკითხებს და რიცხვითი გაანგარიშების მეთოდებს;
4. სასურველია, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში (პ.3.7), დაზუსტდეს დისერტაციის საჯარო დაცვა დოქტორანტურის დებულების მუხლი 14-ის შესაბამისად;
5. სასურველია, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამის „მეტალურგია“ გახორციელებაში უზრუნველყოს უფრო მეტი ახალგაზრდა კადრის მოზიდვა;
6. სასურველია, პერსონალის ინგლისური ენის შესწავლის კუთხით დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები;
7. სასურველია, პროგრამის გარემოფასება განხორციელდეს პერიოდულად, როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩართულობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეტალურგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტრანსპორტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება N425
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტრანსპორტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დამუშავების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები - 0716
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N68, სასწავლო კორპუსი N1, ქ. თბილისი, 0171, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

√ კი

ელიზბარ ელიზბარაშვილი, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ მეშვიდე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცხადი. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ჯუმბერ ჩოგოვაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი (შემდგომში-ვიზიტი) განხორციელდა სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) დირექტორის ბრძანებით N321370 05.04.2021წ. შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის მიხედვით, კომბინირებული ფორმით: 16.04. -პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ადგილზე ვიზიტით და დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით), 19.04-20.04 -უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირებთან გასაუბრება (დისტანციური ფორმით). აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით: ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

სსიპ - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. კონცენტრაციის შესაბამისი სწავლის შედეგი უფრო მკაფიოდ იქნას გაწერილი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (მ.6, პ.7) მიხედვით;

2. საჭიროა მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის მიზნებისა და შინაარსის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა (მიზნებში მითითებულია მხოლოდ სარკინიგზო ტრანსპორტთან დაკავშირებული ასპექტები მაშინ, როდესაც შინაარსში ცალცალკეა განხილული სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის თემატიკა);

3. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლება და ლაბორატორიების აღჭურვა შრომისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ელემენტებით;

4. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში“ (განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერში);

5. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;

6. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის, მდგომარეობის და უსაფრთხოოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

რჩევები:

1. სასურველია, კურიკულუმში მოცემული იყოს მექანიზმი (ინსტრუქცია), რომელიც დაეხმარება სტუდენტს/აბიტურიენტს არჩევანის სწორად ფორმირებაში;

2. სასურველია, პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში და სილაბუსში მითითებული საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობები მოყვანილი იქნას შესაბამისობაში;

3. სასურველია, უფრო მეტად მოხდეს დიფერენცირება სილაბუსებში არსებული თეორიული და პრაქტიკული დავალების/ამოცანის შეფასების კრიტერიუმებში;

4. პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განხორციელოს მეტი აქტივობა და ფინანსების დამატებითი წყაროების მოძიებისათვის;

5. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით;

6. მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.

7. მიზანშეწონილია, გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილამ ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა ობიექტურია, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ მოსაზრებები. პირველი რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში გაითვალისწინეს ეს, თუმცა მიყვებიან იმ დინებას, როგორც გადაწყვიტა გარე შეფასებამ სხვა პროგრამებთან მიმართებაში. ეს არის მარტივი გზა, რათა თითოეული კონცენტრაცია დაახასიათონ თავისი სწავლის შედეგებით. რაც შეეხება რეკომენდაციას საბაკალავრო ნაშრომის მიზნებთან და შინაარსთან მოყვანას, ეს ცალსახად იყო ტექნიკური ნაწილი, ტექნიკურად მხოლოდ სარკინიგზო იყო გათვალისწინებული და საავტომობილო მიმართულება გამორჩენილი. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია. მატერიალურ ტექნიკური რესურსების განახლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას და უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან მიმართებაში, მატერიალურ ტექნიკური ბაზა ზოგიერთი მიმართულებით საჭიროებს განახლებას. დაწესებულებას აქვს თანამედროვე ლაბორატორიები და ნორმალური ინფრასტრუქტურა ამ პროგრამისთვის, თუმცა არის ლაბორატორია რომლის რემონტიც ახლა მიმდინარეობს. ხოლო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რატომღაც გამორჩა და ვადაგასული ცეცხლმაქრი, იყო ლაბორატორიაში. თუმცა ამ კუთხით დაწესებულებას აქვს მარაგები და მაშინვე მოხდა აღნიშნული ცეცხლმაქრის ჩანაცვლება. ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებაში რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა ექსპერტთა ჩანაწერი და აღნიშნა, რომ ნარატივში დადებითად იყო შეფასებული სისტემა. მაქსიმალურად ხორციელდება შესაძლებლობის ფარგლებში. ონლაინ და შერეული ტიპის სწავლება იქიდან მიღებული შედეგები, მათ შორის სწავლის შედეგები გამორიცხავს რომ დაწესებულების წარმომადგენლები ბოლომდე დაეყრდნონ ამ მონაცემებს და ისე განახორციელონ. მიმდინარეობს პროცესები გამოკითხვის დონეზე. ინსტიტუციამ შეისყიდა GTU.GE, რაც არამხოლოდ სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის პროგრამა, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამაც არის ჩამოყალიბებული. დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ დადებითი მოლოდინი გაძლიერების კუთხით. ტარდება გამოკითხვები და ანალიზები. ანალიზების შედეგად ბევრი ცვლილება შევიდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის და უცხოური ენის გაძლიერების ნაწილში. გაუმჯობესების ნაწილში დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ ექსპერტების პოზიციას. უცხოურ ანალოგ პროგრამებთან დადარება მნიშვნელოვანი საკითხია და ასევე იზიარებს ინსტიტუცია, თუმცა დაწესებულებამ ვერ შეძლო იმ დოკუმენტაციის წარდგენა ექსპერტებისათვის, რასაც რეალურად აკეთებს. ივლისის თვეში ინსტიტუციაში ჩამოდის ლიეტუვას უნივერსიტეტის ანალოგი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთან ერთადაც საუბარია ერთობლივ საინტერესო აქტივობებზე პროგრამის ფარგლებში. დასკვნაში საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით საუბრისას მითითებულია, რომ განაცხადის გაკეთებისას არ იყო გარკვეული დეტალები. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროცესები ობიექტურად შეფასდა ექსპერტების მიერ. რაც შეეხება სხვადასხვა მეთოდებით ანალიზების გაკეთებას, რეალურად ხორციელდება უნივერსიტეტში, თუმცა ეს ის არ არის რაც სჭირდება ინსტიტუციას „ტოპ“ ათეულში ყოფნისთვის. ანალიტიკის მიმართულებით თანამშრომლები დაემატა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება ანალიზების და რეკომენდაციების შემუშავება. რაც შეეხება PDCA ციკლს, დაწესებულების წარმომადგენლები ეყრდნობიან სწორ საფუძველს, თუმცა არის მოქმედებები, რომლებიც განსახორციელებლია, რათა სახეცვლილმა პროგრამამ ობიექტური შეფასება მიიღოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან, რაც აგვისტოს შემდეგ იქნება შესაძლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა ნიკა თინიკაშილმა აღნიშნა, რომ გარკვეულ წილად იზიარებდა ექსპერტების პოზიციას პირველ ოთხ სტანდარტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ საბაკლავრო საფეხურის მიზანი ფართო ცოდნის მიცემაა, სატრანსპორტო მიმართულებით ფართო ცოდნა გაიცემა, რისი ერთ-ერთი საფუძელი არის პროგრამაში, ისეთი სასწავლო კურსის არსებობა, როგორცაა „ერთიანი სატრანსპორტო“ სისტემა, სადაც განხილულია საზღვაო, სახმელეთო, საჰაერო ტრანსპორტთან მიმართებული საკითხები. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს უფრო დეტალურად ესაუბრათ პროგრამის მიზანზე, შედეგზე და კვალიფიკაციაზე, რაც საკვანძო საკითხებია საბჭოს წევრების მხრიდან პროგრამის შეფასებისას. 69N-ში არის ჩანაწერები კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. ცალცალკე არის გამოყოფილი სარკინიზო ტრანსპორტის ინჟინერი, საავტომობილო ტრანსპორტის ინჟინერი, აღნიშნულ საბაკლავრო პროგრამაში ეს კონცენტრაციების სახით არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, როგორ უზრუნველყოფს პროგრამა იმას, რომ კონცენტრაციების მიხედვით მომზადდეს კადრი, რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ იქნება ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკლავრი და იმუშავეს შესაბამის სფეროში, როგორც საავტომობილო, ასევე სარკინიზო სფეროში. კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ჩანაწერი იძლევა ორ არჩევანს, შესაძლებელია, როგორც სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიის კვალიფიკაცია მიენიჭოს, ასევე ტრანსპორტის ინჟინერიის კვალიფიკაცია. საინტერესო იქნება, ასევე ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრება. გარდა ამისა დასაქმების მაჩვენებელი და აღნიშნული პროგრამით დაინტერესების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. რამდენად არის უზრუნველყოფილი სტუდენტთა პრაქტიკული მომზადება და რომელ საწარმოებში გადიან ისინი პრაქტიკას.

საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა სამ გამოკითხულ დამსაქმებელზე, რომელიც ასევე გამოიკიხნენ დოქტორანტურის საფეხურზეც. საბჭოს წევრის თქმით, ასევე იყო ხარვეზი კითხვარის ჩანაწერში, რაც მიანიშნებდა დამოკიდებულების ხარისხზე. რაც შეეხება ბიუჯეტს, პროგრამის განვითარებისათვის დარჩენილი არის 19840 ლარი, რაც ძალიან ცოტაა იმ ბაკლავრებისათვის, რაც ჰყავს პროგრამას. პრაქტიკულად არ არის პროგრამის განვითარების სახსრები და როგორ ფიქრობს ინსტიტუცია ამ პრობლემის გადაწყვეტას, ასევე რამოდენიმე სილაბუსის დასახელება იყო გაუგებარი.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს მე-5 სტანდარტის 5.1 პუნქტში გაწერილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც გარკვეული საკანონმდებლო ნორმის დარღვევას შეეხება. უმაღლესი განათლების კანონის შესაბამის ჩანაწერში საუბარია იმაზე, რომ აღიარებას ექვემდებარება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. რა ჩანაწერი იყო დებულებაში, რაც

უმაღლესი განათლების კანონის ამ მუხლს შეესაბამება. ეს არის პრაქტიკაში დამკვიდრებული დარღვევა თუ არ არის ამაზე ყურადღება გამახვილებული, ასევე აკრედიტაციის სტანდარტების 5.1 სტანდარტში რატომ მოხვდა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა განათლების აღიარებას. კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შესული ცვლილებებით აღიარებას ექვემდებარება კრედიტები, რომელიც მიღებული იყო უკვე მინჭებული კვალიფიკაციის ფარგლებში. არსებობდა თავისებური ხარვეზი კანონქვემდებარე აქტში, რომელიც იყო 10N ბრძანება, სადაც იყო ჩარჩენილი ტექსტი და დაწესებულების რეგულაციაშიც ასევე იყო. ტექსტში მითითებული იყო, რომ დაუშვებელია კრედიტების აღიარება მიღებული კვალიფიკაციის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენლებმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ კანონის მუხლთან. 10N ბრძანებაში უკვე შევიდა ცვლილება და შესაბამისად დაწესებულება უზუსტობის გამოსწორებით შესაბამისობაში მოიყვანს რეგულაციას, როგორც კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ, ასევე მინისტრის 10N ბრძანებასთან. უმაღლესი განათლების კანონში ეს ცვლილება იყო უკვე შესული, დაწესებულების მხრიდან რეგულაციების წარდგენამდე, ხოლო 10N ბრძანებაში შევიდა დაწესებულების მიერ განაცხადის წარდგენის შემდგომ. ჩანაწერის ჩაწერა 5.1 სტანდარტის ქვე პუნქტში გამომდინარეობდა იქიდან, რომ აკრედიტაციის სტანდარტების საფუძველს წარმოადგენს ESG სახელმძღვანელო, რომელიც არის შექმნილი ევროპული სივრცისთვის და მათ შორის საქართველოც იყენებს თავისი სტანდარტების საფუძველად. სახელმძღვანელოში პირველი სტანდარტი განსაზღვრავს დაწესებულების შიდა მექანიზმებს და 1.4 ქვეპუნქტი აღწერს „სტუდენტის მიღება, აღიარება, პროგრესია და სერთიფიცირება“ აღიარებაში სწორედ მიღებული განათლების აღიარება იგულისხმება, შესაბამისად რელევანტური და კანონზომიერი იყო აკრედიტაციის სტანდარტი, რომელიც აფასებდა შიდა ხარისხის მექანიზმებს შეფასებაში ყოფილიყო გათვალისწინებული ის განმარტება, რომელიც მოცემულია ESG სახელმძღვანელოში. ეს არის საუნივერსიტეტო რეგულაცია, არ არის შექმნილი კონკრეტულად ამ პროგრამის მიზნებისათვის. რეგულაციის დარღვევა არ მომხდარა. ექსპერტთა ჯგუფი ექვემდებარება არ აყენებს დაწესებულების შესაბამისობას კანონმდებლობასთან. ეს არის ჩანაწერი, რომელიც უნდა გასწორდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გოგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერია უფრო მეტად მექანიკურ ნაწილს უკავშირდებოდა, ხოლო ტრანსპორტის ინჟინერია გულისხმობდა სატრანსპორტო პროცესებსაც. პროგრამა მოდის ძველი ტრადიციული პროგრამებიდან, რომლებიც იყო სატრანსპორტო პროფილის. ახალ 69N-ზე გადასვლამ გარკვეულწილად შეამცირებინა დაწესებულების წარმომადგენლებს სატრანსპორტო გადაზიდვების მოცულობა, რადგან ეს უფრო მეტად უნდა ყოფილიყო მექანიკისკენ ორიენტირებული და პროგრამა დღეისათვის ხარვეზების, დიაგნოსტიკაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზეა უფრო მეტად ორიენტირებული, თუ პროგრამა განვითარდება არსებობს უამრავი გზები, იმისი მიხედვით საით წავა საქართველოში ან ტრანსპორტის ან საავტომობილო მრეწველობის ჩამოყალიბება და განვითარება. პროგრამის წარმომადგენლები ეხმარებიან სატრანსპორტო კომპანიებს. პროგრამის წარმომადგენლები მზად არიან ყველა სიახლეში ჩაერთონ. ერთის მხრივ საავტომობილო ინჟინერიისაკენ და მეორეს მხრივ რკინიგზის ინჟინერიისაკენ სვლა, ძალიან დააზარალებდა მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს, რადგან ახალი საგნების აღიარება გართულდებოდა, ამიტომ პროგრამის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ეს იყო შორეული, თუმცა ძალიან საინტერესო ეტაპი, რომელსაც განვითარება უწერია. რაც შეეხება ანალოგებს, ლიეტუვას ერთ-ერთ

პროგრამა, სადაც მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ტრანსპორტის ინჟინერია, ასევე სახელიც იგივეა, თუმცა შინაარსში ძირითადად საავტომობილო ტრანსპორტი, საგზაო მანქანები, საგზაო სამშენებლო ტექნიკა და ასე შემდეგ. აღნიშნულ პროგრამაში არ არის მოცული ყველა სახის ტრანსპორტი. სწორად იქნა შემჩნეული, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტის საბაკალავრო პროგრამას, აქვს ერთიანი სატრანსპორტო სისტემა, სასწავლო კურსი სადაც განიხილება ყველა სახის ტრანსპორტი. დაწესებულების წარმომადგენლების მოწოდებაა, რომ განავიტარონ პროგრამა. რაც სეეხება გამოკითხული დამსაქმებლების სიმცირეს, ეს საკითხი მოსაწესრიგებელი აქვს ინსტიტუციას. ტარდება შეხვედრები დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან ასევე ასოციაციასთან და მათი მხარდაჭერით და წინადადებებით ბევრი საკითხი ხორციელდება. ხოლო ბიუჯეტთან დაკავშირებით, ნამდვილად მცირეა და გაძლიერებას საჭიროებს, თუმცა უნივერსიტეტი არ დაუშვებს, რომ ტრანსპორტის პროგრამა ვერ განვითარდეს. უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას დაეხმაროს აბიტურიენტებს მათემატიკაში მომზადებაში, რათა გამოსწორდე მსურველთა სიმცირე. გარდა ამისა იცვლება ბიუჯეტის ფორმირების წესი უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ოთარ გელაშვილმა დასაქმების საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულების 80%-ზე მეტი არის დასაქმებული. მაგალითად „თეგეტა მოტორსი“, სადაც, როგორც მენეჯერულ დონეზე, ასევე „ტოპ“ მენეჯერების დონეზე ძირითადად აღნიშნული ინსტიტუციის კურსდამთავრებულები არიან. გარდა ამისა სხვადასხვა ცენტრებში „ვოლვო“ „ფორდი“ „მერსედესი“ წამყვან პოზიციებზე, ასევე აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები მუშაობენ. სახელმწიფომ ტექნიკური ინსპექტირების თვალსაზრისით ტრანსპორტის მკაცრი კონტროლი დაწესა და ამ კუთხითაც დასაქმებულები არიან კურსდამთავრებულები. რაც შეეხება ბიუჯეტს, თანხა ნამდვილად მწირია, თუმცა უნიკალური ლაბორატორია არის მოწყობილი „თეგეტა მოტორისის“ უშუალო მხარდაჭერით, თანამედროვე მოწყობილობა დანადგარებით, გარდა ამის არის საქართველოს რკინიგზის მხარდაჭერით სარკინიგზო მიმართულებით უნიკალური ლაბორატორია, სადაც არამხოლოდ ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება, არამედ მიმდინარეობს კვლევებიც. ერაზმუს + ფარგლებში ინსტიტუციას მოგებული აქვს გრანტი, რომლის საშუალებითაც 54 000 ევროს ღირებულების უნიკალური ლაბორატორია მოეწყო. ამჟამად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალი კონკურსები ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბიუჯეტის გადანაწილება ხდება და ბიუჯეტის 24 % გამოყოფილი იქნება პროგრამის განვითარებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:50

დასრულების დრო: 21:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით, მეოთხე სტანდარტების ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტის მოთხოვნებთან“. მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, კონცენტრაციის შესაბამისი სწავლის შედეგი უფრო მკაფიოდ იქნას გაწერილი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (მ.6, პ.7) მიხედვით;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია, მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის მიზნებისა და შინაარსის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა;
4. რეკომენდირებულია, შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დეტალური სამოქმედო გეგმა (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსებით;
5. რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
6. რეკომენდირებულია, პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;
7. რეკომენდირებულია, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პროგრამის ყველა ასპექტის პერიოდული შეფასება, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, კურიკულუმში მოცემული იყოს ინსტრუქცია, რომელიც დაეხმარება სტუდენტს/აბიტურიენტებს კონცენტრაციის არჩევანის სწორად ფორმირებაში;
2. სასურველია, დაზუსტდეს პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში და სილაბუსში მითითებული საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობები;
3. სასურველია, უფრო მეტად მოხდეს დიფერენცირება სილაბუსებში არსებული თეორიული და პრაქტიკული დავალების/ამოცანის შეფასების კრიტერიუმებში;
4. სასურველია, პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით;
5. მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით;
6. მიზანშეწონილია, გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტრანსპორტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება № 516
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტრანსპორტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის	-

	საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
15	განხორციელების ადგილი	მ.კოსტავას ქ. N68, ქ. თბილისი, I სასწავლო კორპუსი, 0171, საქართველო.
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

ელიზბარ ელიზბარაშვილი, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძე მეშვიდე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვეე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ჯუმბერ ჩოგოვაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი (შემდგომში-ვიზიტი) განხორციელდა სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) დირექტორის ბრძანებით N321370 05.04.2021წ. შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის მიხედვით, კომბინირებული ფორმით: 16.04. -პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ადგილზე ვიზიტით და დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით), 19.04-20.04 -უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირებთან გასაუბრება (დისტანციური ფორმით). აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით: ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომე ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

სსიპ - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის შედეგების რუკა, რათა შინაარსიდან გამომდინარე სასწავლო კურსი, სწორად იყოს ასახული შესაბამისი სწავლის შედეგის ფორმირებაში;
2. გადაიხედოს „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესის (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისთვის) დანართი #01-ში მითითებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებისა და ქულათა გრადაციის ნაწილში. ასევე, სილაბუსებში მითითებული შეფასების კრიტერიუმებისა და მათი ქულობრივი ექვივალენტების, ასევე სწავლის შედეგებისა და შეფასების კომპონენტების ურთიერთშესაბამისობა;
3. დოქტორანტების მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის გაფართოვდეს ურთიერთობები სფეროს წამყვანი კომპანიების ლაბორატორიებთან;
4. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობასთან (კრედიტების რაოდენობასთან), განათლების აღიარებასთან, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში;

- პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;
- ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრამის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

რჩევები:

- სასურველია მეტად მკაფიო გახდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- დოქტორანტების მეტი ინფორმირებისათვის სასურველია პროგრამის კურიკულუმში ასახული იყოს პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების პროცესი;
- უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სადოქტორო დისერტაციების გაფორმებას;
- პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს მეტი აქტივობა დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიებისათვის;
- პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით;
- მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით;
- მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯუმბერ ჩოგოვამემ დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს შესანიშნავი ლაბორატორიები. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც გაკეთებული იყო ერთ-ერთ ლაბორატორიაში. თუმცა, თემატიკა ისეთი ფართო არის, როგორც საავტომობილო ასევე სარკინიგზო, რომ მომავალში უკეთესი იქნებოდა თუ გაფართოვდებოდა ურთიერთობები წამყვან კომპანიებთან, რომლებსაც გააჩნიათ კარგი ლაბორატორიები. აგრეთვე სწავლის შედეგების ფორმირებასთან დაკავშირებით, რომ შინაარსიდან გამომდინარე სასწავლო კურსის ფორმირებაში იყოს შესაბამისობა, საუბარი იყო ერთ-ერთ სასწავლო კურსზე. რეკომენდაციების ნაწილი მეორდება საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილამემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მეორდებოდა საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამაზე, დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციაც იგივეა. ასევე დანართებში არსებულ უზუსტებობებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსები, შესაბამისი სწავლის შედეგების ფორმირებაში მათი მონაწილეობის შებამისად, ასახულია პროგრამის დანართში, რომლის მონიტორინგი და შესაბამისად კორექტირება, კონკრეტული მოცემულობების გათვალისწინებით ხორციელდება საჭიროებისამებრ.

წარმოდგენილი სწავლის შედეგები აბსოლიტურად თავსებადია დონესთან და სფეროსთან, უზუსტობა იყო მხოლოდ რუკასთან ასახვის ნაწილში. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ ნაშრომების შეფასების კრილში იყოს სისტემა მოწესრიგებული და გრადაციის ნაწილში კრიტერიუმები გასწორებული. ამ შემთხვევაში იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა წლების განმავლობაში მოქმედი დოკუმენტი, რომელიც 1.2 კვლევის შეფასება, 2.3, 3.4 მეორდებოდა ქულობრივი შეფასებები და სხვადასხვა მოცემულობაში შეეძლო შემფასებელს დაეწერა ერთიდაიგივე შეფასებები. ეს უზუსტობაც გასწორებულია სრულად. კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლებასთან დაკავშირებით საუბარი იყო იმ შესაძლებლობებზე, რომელიც არსებობს ფაკულტეტზე. ხარისხთან დაკავშირებით, განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს დოქტორანტურის პროგრამების დადარების საკითხს, რადგან პრაქტიკულად აქცენტი გაკეთებულია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის კრილში, რათა შესაძლებლობების გახსნაზე მეტი წვდომა ქონდეს დოქტორანტს კოლეგებთან, უცხოელ სპეციალისტებთან, ბიბლიოთეკებთან და ა.შ. რაც შეეხება პროგრამის დადარებას დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციაა, რომ რაც შეიძლება დაიცალოს სადოქტორო პროგრამა სასწავლო კომპონენტისგან და მხოლოდ სწავლებაზე და კვლევაზე ორიენტირებული საგნები დარჩეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტექნიკურ უნივერსიტეტში თანამედროვე სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით კვლევების განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნიკა თინიკაშვილმა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია, როგორც სწავლების, ასევე კვლევის პროცესში, რომ უნდა დავეყრდნოთ თანამედროვე სტატიებს, პუბლიკაციებს და გარკვეულ სიახლეებს, რის საფუძველზეც შესაძლებელია აკადემიური ხარისხის დოქტორმა შექმნას გარკვეული ახალი ცოდნა, რაც თავისმხრივ გამოადგება დარგის განვითარებას. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ გადახედა სადოქტორო ნაშრომებს და აქტუალურია, როგორც დასახელებები, ასევე შინაარსობრივი ნაწილი. თუმცა გამოყენებულ ლიტერატურას, როგორც კვლევით, ასევე სასწავლო ნაწილში სჭირდება თანამედროვე ლიტერატურით გაძლიერება. როგორია დაწესებულების პოზიცია, რა კვლევებში და საერთაშორისო ღონისძიებებში არიან ჩართულები და რა შესაძლებლობები აქვთ სტუდენტებს. ასევე საინტერესოა ექსპერტების პოზიცია, თუ რა არის საფუძველი უცხოურ პროგრამებთან დადარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების.

საბჭოს წევრი გიორგი ლაღანიძე დაინტერესდა შრომის ბაზართან დაკავშირებით, ასევე ბიუჯეტში განსაზღვრული 1848 ლარი არ არის საკმარისი სადოქტორო პროგრამის განვითარებისათვის, ამიტომ აუცილებელია ამ ბიუჯეტთან ერთად წარმოდგენილი ყოფილიყო დოკუმენტი, საიდანაც იქნებოდა შესაძლებელი დასკვნის გამოტანა პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე. ასევე სადოქტორო ნაშრომი ფასდება იმით თუ რა მიგნებები არის გაკეთებული, თუმცა 63 წყაროდან არცერთი არ არის ინგლისურ ენოვანი. ბოლო 20 წლის განმავლობაში ტრანსპორტთან დაკავშირებული ლიტერატურა ხშირია და რატომ არის ასეთი სიმცირე ინგლისურენოვანი წყაროების.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააფიქსირა პოზიცია 5.1 კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დასკვნის აღწერილობით ნაწილში გაცხადებულია, რომ ექსპერტთა ჯგუფი ექვევემ არ აყენებს უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებას მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით. რეკომენდაციაში საუბარია, რომ კვლევითი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა უნდა იყოს შესაბამისობაში, თუმცა ამ პროგრამასთან მიმართებაში არის

შესაბამისობაში. ასევე შესაბამისობაშია შეფასების ნაწილი ამ პროგრამასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე ეს უნდა იყოს რჩევა საუნივერსიტეტო დონეზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მესამე და მეოთხე რეკომენდაციის ჩანაწერთან მიმართებით. “დოქტორანტების მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის გაფართოვდეს ურთიერთობები სფეროს წამყვანი კომპანიების ლაბორატორიებთან.” რაიმე რისკია, რომ სწავლის შედეგებზე გასვლას შეუშალოს ხელი არსებულმა ლაბორატორიებმა და მდგომარეობამ თუ გაუმჯობესებაზე მიუთითებს ექსპერტთა ჯგუფი. ასევე მეოთხე რეკომენდაცია „კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის მოცულობასთან (კრედიტების რაოდენობასთან), განათლების აღიარებასთან, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში“ აქაც ჩანაწერი ამბობს, რომ „კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად“. ეს ნიშნავს იმას, რომ არ არის შესაბამისობაში.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახულია სადისერტაციო ნაშრომის შეფასება და ასევე განმარტებულია, რომ პასუხობს მოთხოვნებს, ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ რომ დაადასტუროს ეს ფაქტი და დააფიქსირონ მათი პოზიცია, რამდენად არის მიღწევადი ამ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტს მოეთხოვოს სადისერტაციო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ საუბარია კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ჩანაწერები სასწავლო და კვლევითი კომპონენტების და პროგრამის მოცულობასთან დაკავშირებით. კომპონენტი უდრის 120 კრედიტს, პროგრამის მოცულობა უდრის 180 კრედიტს, კანონმდებლობით კრედიტებში იზომება მხოლოდ სასწავლო კომპონენტი, შესაბამისად კვლევით კომპონენტს არ უნდა ქონდეს მინიჭებული ის კრედიტები, რომელიც არის განსაზღვრული, ეს არის დარჩენილი ძველი რეგულაციებიდან და შესაბამისად მარტივად გასასწორებელია. რაც შეეხება სასწავლო კომპონენტის მოცულობას, სასწავლო კომპონენტის მოცულობა პროგრამაში არ აღემატება 60 კრედიტს, მაგრამ მითითებულ რეგულაციებში, წერია რომ იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტს დასჭირდება 75 კრედიტის მიღება. დოქტორანტს არ დასჭირდება 60 კრედიტზე მეტის მიღება, რადგან კანონმდებლობით სასწავლო კომპონენტი მაქსიმალური მოცულობა არის 60 კრედიტი. ეს არის გადასახედი რეგულაციები, რომელიც უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობის არსებულ ჩანაწერებთან. ექსპერტთა ჯგუფი ექვეყნებ არ აყენებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობას, რადგან არ არსებობს ამის საფუძველი. ექსპერტთა ჯგუფი არ განიხილავდა ყველა მოცემულებას, ყველა სტუდენტის მონაცემს, ყველა დოქტორანტის მონაცემს, საუბარი იყო რეგულაციაში არსებულ უზუსტობებზე. ეს რეგულაციები ატარებს საუნივერსიტეტო ხასიათს და არის შექმნილი და გამოყენებული ამ პროგრამის შემთვევაში. ეს არის საუნივერსიტეტო რეგულაციის მოწესრიგების საკითხი, რომელიც რევიზიის პირობებში გამოსწორდება. კრედიტების აღიარების საკითხთან დაკავშირებით იგივეა მოცემულობა, რაც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯუმბერ ჩოგოვაძემ ტრანსპორტის თემატიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძალიან ფართოა, ამიტომ ექსპერიმენტალური ნაწილის ჩატარება შესაძლებელია ვერ მოხერხდეს უნივერსიტეტის სივრცეში, ამიტომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს. დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ ურთიერთობები ძირითად კომპანიებთან, რომლებსაც აქვთ შესანიშნავი ლაბორატორიული ბაზები.

ექსპერტა ჯგუფის წევრმა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მიზანი არის პროგრამის განვითარება, რომ უმჯობესია კვლევითი მიმართულებით გაფართოვდეს სფეროები და არა ის, რომ მათ ლაბორატორიებს ვერ გაჰყავთ დოქტორანტები შედეგზე. ასევე, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნების წინაპირობად განსაზღვრასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტი სანამ დაიცავს სადისერტაციო ნაშრომს უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატია და მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილამ აღნიშნა, რომ სტატიების გამოქვეყნება ხდება მაღალ რეიტინგულ გამოცემაში საზღვარგარეთ და ამ მიმართულებითაც ძლიერდებოდა პროგრამა. დარგებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია სტუდენტის ინტერესი არა საუნივერსიტეტო რეგულაციის ფარგლებში, არამედ კონკრეტული დარგის გათვალისწინებით. რაც შეეხება ბიუჯეტს, პრაქტიკულად არცერთი სადოქტორო პროგრამა არ არის უნივერსიტეტში, რომელიც საკმარისია ფინანსურად, მაგრამ არცერთი არ არის უყურადღებოდ დარჩენილი. შრომის ბაზართან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია იგივეა, რაც საბაკლავრო პროგრამაზე. ხოლო რაც შეეხება თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას, ინგლისური ენა წლების განმავლობაში იყო შემაფერხებელი და დაშვების წინაპირობის განსაზღვრით აღმოიფხვრა აღნიშნული პრობლემა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო თოფურამ აღნიშნა, რომ კვლევის სფეროები სხვადასხვა მიმართულებისა ესენია: საიმედოობა, მოძრაობის უსაფრთხოება, სატრანსპორტო საშუალების დიაგნოსტიკა, სერვისი, რემონტი, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის ადგილი და ა.შ. ტექნიკურ უნივერსიტეტს სანდიგოს უნივერსიტეტთან ერთად დადებული აქვს ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს დოქტორანტების მხარდაჭერის პროგრამას. პროგრამა მიმდინარეობს ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე ამერიკელი პროფესორები ატარებენ ლექციებს, ეს არის პერიოდულად მოკლე კურსები და Zoom-ის საშუალებით მიმდინარეობს. მეორე ეტაპზე შესაძლებელია სტაჟირებაზე წავიდნენ დოქტორანტები კალიფორნიაში, რაც მთლიანად ფინანსდება ამერიკის საელჩოს მიერ. სტუდენტები ჩართულები არიან „ჯიეიზეტის“ და რუსთაველის საზოგადოების პროგრამებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოიძია ნიშის უნივერსიტეტში სასწავლო კურსები, რომელებიც ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კურსების მიზანზე გადიან შინაარსობრივად. რაც გამოიყენეს დაწესებულების წარმომადგენლებმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ოთარ გელაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია თანამშრომლობს დვალის სახელობის მექანიკის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტთან, რომლის ბაზებსაც იყენებენ პროგრამაზე კვლევისათვის. დაწესებულებაში არსებული ბაზა აკმაყოფილებს, ყველა იმ მოთხოვნას რაც დოქტორანტს სჭირდება და გაჰყავს სწავლის შედეგზე. ასევე დამატებით არის დვალის სახელობის მექანიკის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტი, ასევე თავდაცვის „დელტას“ სამეცნიერო კვლევის ცენტრი, სადაც სრულდება მნიშვნელოვანი სამუშაოები და ჩართულები არიან პროგრამის დოქტორანტები. გარდა ამისა, დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან 2 წლიანი დღეს მოქმედი გრანტი, სადაც ჩართულია სამი დოქტორანტი და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობენ, მათ ჰყავთ კონსულტანტი გერმანელი პროფესორი და ხელმძღვანელები ქართველი პროფესორები. ხორციელდება ერთობლივი კვლევები ამ გრანტის საშუალებით. პუბლიკაციების მიხედვით ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ქართულ-პოლონური კონფერენციები, სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია, ერთ წელს ტარდება პოლონეთში, ხოლო მეორე წალს ტარდება საქართველოში, სადაც ასევე

აქტიურად მონაწილეობენ დოქტორანტები. ასევე ქალაქ თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანიის ბაზაზე ატარებენ პროგრამის წარმომადგენლები კვლევას. აქედან გამომდინარე ინსტიტუცია იყენებს, როგორც შიდა ბაზებს, ასევე ქვეყნის მასშტაბით არსებულ სხვა ბაზებსაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში. ორი დოქტორანტი იყო ერაზმუს + საშუალებით წასული საერთაშორისო კონფერენციაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:50

დასრულების დრო: 23:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.6 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.4. კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.1 ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით, მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამის შედეგების რუკა, რათა შინაარსიდან გამომდინარე სასწავლო კურსი, სწორად იყოს ასახული შესაბამისი სწავლის შედეგის ფორმირებაში;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
4. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus/Web of Science) ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
5. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება;

6. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
7. რეკომენდირებულია, პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.
8. რეკომენდირებულია ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პროგრამის ყველა ასპექტის პერიოდული შეფასება, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია მეტად მკაფიო გახდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
2. სასურველია, დოქტორანტების მეტი ინფორმირებისათვის სასურველია კურიკულუმში ასახული იყოს პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების პროცესი;
3. სასურველია, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სადოქტორო დისერტაციების გაფორმებას;
4. პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს მეტი აქტივობა დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიებისათვის;
5. სასურველია, პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით;
6. მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით;
7. მიზანშეწონილია, გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 23:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

მ. შენგელია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა

